ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 10 მაისი, 2011 №109 (5490) ფასი: 30 თეთრი




„ახალი თაობა“
+„ჩერჩილი“
yfobkb 66
8 ლარი
„ახალი თაობა“
+„განდი“




# ქართული პარტია ზურაბ ადეიშვილის ოჯახს მიუვარდა

## ლევან გაჩეჩილა ქ: „ერთად ჩავუხტეთ ჩათლახების ბატონს“



გვ.3

## ჯერ საერთო ენა გამონახონ და მერე ხელისუფლება შეცვალონ

რა რჩევას ა ლევს რადიკალებს ი იგური



გვ.7

## მედვედევმა 9 მაისი, სააკაშვილის გარდა, ყველას მიულოცა

გვ.4

რუსეთი არაადეკვატურ პოლიტიკას აწარმოებს



## სააკაშვილი 1,5-მილიონიან საათს ყიდულობს

რატომ ს ულს მას ვეტერანები



## პოლიცია აქციის დარბევას ვერ გაბედავს

გვ.3



გვ.2

## 2012 წლის ბიუჯეტის მიმართულებებზე შეხვედრები გაიმართება

გვ.4

## კოკოითი მოსახლეობისგან იარაღის ამოღებას ითხოვს

მის კონკურენტს ხალხის იმედი აქვს



გვ.7



გვ.6

## ჩვენ ოპოზიციას არ ვლანძღავთ

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 ეკა ბესელიამ და კახა კუკავამ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს

5 ხელისუფლება ბიზნესს სპობს

3 აქციებზე კანონდარღვევას კანონიერი რეაგირება მოჰყვება

7 ვეტერანებს მალე დააფასებენ

# ქართული პარტია ზურაბ ადეიშვილის ოჯახს მიუვარდა

## ლევან გაჩეჩილაძე: „ერთად ჩავუხტეთ ჩათლახების ბატონს“



თეა მარხვაძე

**ქართულმა პარტიამ გუშინ დანაპირები შეასრულა და კახეთში საპროტესტო მარში მოაწყო. კახეთში ჩასვლამდე ისინი ვაკის პარკში მივიდნენ. სანამ ისინი ფაშიზმის დამარცხების მნიშვნელობაზე საუბრობდნენ, კახეთში პოლიციის მობილიზაცია მიმდინარეობდა.**

კახელი სამართალდამცავები ამ მარშისთვის ისედაც მზად იყვნენ. ქართულმა პარტიამ ღონისძიების ჩატარების შესახებ განცხადება რამდენიმე დღით ადრე გააკეთა. განსაკუთრებული აქცენტი თელავსა და ყვარელზე იყო გადატანილი.

ქართული პარტიის კოლონა თბილისიდან კახეთის მიმართულებით დილით დაიძრა. კოლონაში რამდენიმე ათეული მანქანა შედიოდა. ამ მანქანებში 700-მდე ადამიანი იჯდა.

კახელები შეიძლება ხელისუფლების მიმართ უარყოფითად არიან განწყობილი, მაგრამ ამ აქციის მიმართ დიდი ენთუზიაზმი არ გამოუხატავთ. შეიძლება ძალიანაც უნდოდათ ქუჩაში გამოსვლა, მაგრამ... ყველამ კარგად ვიცით, რომ რეგიონებში პროტესტის გამოხატვა ძალიან ძნელია.

ამის მიუხედავად ქართულმა პარტიამ თელავში გვარიანი მიტინგი გამართა. ამ ღონისძიებას 4000-მდე ადამიანი ესწრებოდა. აქცია ერეკლეს მოედანზე გაიმართა. მოედანზე შეკრებილებს ქართული პარტიის ლიდერებმა მიმართეს. ყველაზე დიდი მოწონება ლევან გაჩეჩილაძის გამოსვლას ერგო წილად.

— იმ საქმისთვის, რომელიც „ქართულმა პარტიამ“ დაიწყო, ღირს თავის შეკვლა და ტყვიაზე წასვლა იმიტომ, რომ, ცხოვრება არის ძალიან მოკლე, მაგრამ ცხოვრება სამშობლოსათვის ბრძოლაში არის უკვდავი. ყველას დაგლოცავთ და ერთად ჩავუხტეთ, მუხრანბატონს კი არა, ჩათლახების ბატონს, — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

თელაველებს სიტყვით პარტიის თავმჯდომარემ სოზარ სუბარმაც მიმართა. მან ხელისუფლება კიდევ ერთხელ გააკრიტიკა ომის ვეტერანების მიმართ დამოკიდებულების გამო.

— ამ არაკაცებს ჰგონიათ საქართველოს ისტორია 2004 წლიდან იწყება. მოვა დრო, როდესაც ისევე წაიშლება მათი სახელები, როგორც ისინი ცდილობენ წაშალონ ომის ვეტერანთა ხსოვნა, — განაცხადა აღშფოთებულმა სოზარ სუბარმა.

მან თელაველებს ქართული პარტიის სამომავალო გეგმებზეც მიაწოდა ინფორმაცია. როგორც სუბარი ამბობს, მალე ისინი თავიანთ მომხრეებს თბილისში მოუხმობენ.

— რამდენიმე დღეში, ან სულაც რამდენიმე კვირაში ქართული პარტია მთელ საქართველოს დაუძახებს თბილისში, რათა საბოლოოდ დაუსვას წერტილი სააკაშვილის ხელისუფლებას, — განაცხადა სუბარმა.

ქართულმა პარტიამ თელავიდან გეზი ყვარლისკენ აიღო, სადაც მათ უკვე ელოდნენ. ყვარლის გარდა მათ სოფელ მთისძირშიც ელოდებოდნენ. ამ სოფელში საქართველოს იუსტიციის მინისტრის მშობლიური სახლია. ქართული პარტია სწორედ მის სახლთან აპირებდა აქციის გამართვას.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გუშინ, დილით გაავრცელა ცნობა, ადეიშვილების სახლს პოლიცია იცავდა. მათივე ცნობით, პოლიციელები სახლშიც იმყოფებოდნენ. ეზოს კარები ჩაკეტილი იყო. ქუჩაში კი კრიმინალური პოლიცია პატრულირებდა.

ყვარლის გამგებელმა თბილისიდან წამოსული სტუმრების მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინა. მან განაცხადა, ქართულ პარტიას ყვარელში აქციის ჩასატარებლად სანქცია არა აქვსო.

— ჩვენ არც ყვარელში და არც სადმე სხვაგან აქციის ჩასატარებლად სანქცია არ გვჭირდება. სანქცია, ოღონდ სხვა სანქცია, მალე ყვარლის გამგებელს დასჭირდება, — განაცხადა ჯერ კიდევ თელავში მყოფმა ეროსი კიწმარიშვილმა.

ყვარელში გამართულ უსანქციო აქციაში 1200 ადამიანი მონაწილეობდა.თბილისიდან ჩაყვანილ ხალხთან ერთად, მანიფესტაციაში, ძირითადად, სოფლების — წინწკანაანთსერის და კუჭატანის მაცხოვრებლები მონაწილეობდნენ. ამ სოფლებს ქართული პარტიის ლიდერები ცოტა ხნის წინ სტუმრობდნენ.

ამ სოფლების მოსახლეობამ ოპოზიციას საშინელი ამბები აუწყეს. უამბეს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მათ ტყეშიც კი არ უშვებენ.

მანიფესტაციის მსვლელობის დროს ქართული პარტიის აქტივისტებმა თეატრალიზებული აქციაც მოაწყეს. ისინი პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, მინისტრების, ნინო ბურჯანაძის სურათებით გამოვიდნენ და პოლიტიკოსები გააქილიკეს.

მანიფესტაციის მონაწილეებს ქართული პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბარმა მიმართა.

— ხელისუფლება ყვარლის მოსახლეობას მიწებს ართმევს. ცოტა ხნის წინ შეხვედრები გვქონდა კუჭატანის დ წინწკანაანთსერის მოსახლეობასთან. ამ სოფელში თითო მოსახლეს 25 მეასედი მიწა აქვს, საძოვრები წაართვეს ხალხს და შიმშილით სიკვდილისთვის გაწირეს. ტყე შემოღობეს და ხალხს შიგნით აღარ უშვებენ. ჩვენი ანტიადამიანური ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ყველანაირი ქართული წაშალოს და მთელი საქართველო ჩაიდოს მინის ჯიბეში. სააკაშვილი ცდილობს, რომ წაშალოს ისტორია. თამაში ჰგონიათ ქვეყნის მართვა, თამაში ეგონათ ომი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი „დერჟავის“ წინააღმდეგ. ეს იყო სულელური და ყველაზე დიდი ანტიქართული ქმედება, რაც რომელიმე ხელისუფლებას გაუკეთებია. ამიტომ, ჩვენ, რაც შეიძლება მალე უნდა დავამთავროთ ეს ხელისუფლება, — განაცხადა სუბარმა.

საპროტესტო აქცია გაიმართა სოფელ მთისძირშიც. ოპოზიციონერებმა მთისძირში იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის სახლს ვერ მიაგნეს და პიკეტი მის მეზობლად მოაწყეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება ამან იქ მცხოვრები გლეხის უკმაყოფილება გამოიწვია.

ქართულ პარტიას კახელი გლეხის გაბრაზება სულაც არ სურდა. მათი მიზანი ხელისუფლების გაბრაზება იყო. ამბობენ, რომ გამოუვიდათ. ქართული პარტია თბილისში კმაყოფილი წამოვიდა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, საპროტესტო აქციების დასრულების შემდეგ ქართული პარტიის მხარდამჭერები გურჯაანში მდებარე რესტორან „ნაკადულში“ შეიკრიბნენ. კახელი ჟურნალისტების ცნობით, რესტორნის მომსახურების ხარჯები გივი ქოროღლიშვილმა გაიღო, რომელიც ასევე ქართული პარტიის წევრია.

ხელისუფლება მთავარ აქცენტს ბუნებრივია „ნაკადულში“ გამართულ ღონისძიებაზე გაამახვილებს. თუმცა, სანამ ქართული პარტიის „ღვინისძიებას“ გააკრიტიკებდნენ, ცუდი არ იქნება თუ საკუთარ ნაქეიფარს გაიხსენებენ.

# სააკაშვილი 1,5-მილიონიან საათს ყიდულობს

## რატომ სძულს მას ვეტერანები

**ლეიბორისტები ხელისუფლებას ვეტერანების დამცირებაში და შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ სააკაშვილს და მის გუნდს ომის ვეტერანები მხოლოდ პიარისთვის სჭირდებათ. მათთვის სათანადო ყურადღების მიქცევას არც მომავალში აპირებენ.**

შორენა კოწოწაშვილი



გუშინ ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა პრესკონფერენცია გამართა და ფაშიზმზე გამარჯვების 66-ე წლისთავთან დაკავშირებით პარტიის პოზიცია დააფიქსირა.

სოსო შატბერაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები სულ უფრო ცოტანი რჩებიან, ხელისუფლების მხრიდან მათ მიმართ დამოკიდებულება არ იცვლება. ის კვლავ ცინიკური და შეურაცხმყოფელი რჩება. მისი თქმით, ეს გამოიხატება ვეტერანების სოციალურ დაუცველობაში, არასათანადო პენსიებსა და არასათანადო დაფასებაში.

პრესკონფერენციას ერთ-ერთი ომის ვეტერანის, ქსენია კასრაშვილის შვილი, ლევან კასრაშვილის ესწრებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ პროტესტის ნიშნად დედამისმა გადაწყვიტა 2010 წელს ფაშიზმზე გამარჯვების 65 წლისთავთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ გადაცემული ორდენი, ასევე სურსათის, დენისა და მედიკამენტების ვაუჩერები პრეზიდენტ სააკაშვილს უკან დაუბრუნოს.

პრესკონფერენციის ბოლოს **სოსო შატბერაშვილს** რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***— ბატონო სოსო, რამდენად ადარდებს ხელისუფლებას ომის ვეტერანების ბედი და რა დამოკიდებულებას იჩენს ის ამ ღვაწლმოსილი ადამიანების მიმართ?***

— ხელისუფლებას არამთუ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ბედიც არ აინტერესებს. ის მწირი დახმარება, რომელიც საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლ ვეტერანებს ჰქონდათ ხან მოიხსნება, ხან დაინიშნება. ეს ადამიანები ამით შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს. დამცირებულად გრძნობენ თავს საკუთარ სამშობლოში. ბოლოდროინდელი დარბევები, რომლებიც იანვრის დასაწყისში მოხდა, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლება მზად არის, გაწიროს ყველა და ყველაფერი, ხელკეტით, წიხლით გაუმასპინძლდეს ყველას, ვინც კი ხმას ამოიღებს არათუ მათ წინააღმდეგ, არამედ საკუთარი ინტერესების დასაცავად. ვეტერანები ხომ პოლიტიკურ აქციას არ აწყობდნენ. ისინი აწყობდნენ აქციას იმისათვის, რომ საკუთარი სოციალური პირობები გაუმჯობესებულიყო ან თუნდაც ძველ დონეზე მაინც დარჩენილიყო.

***— თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლებამ ვეტერანები გაწირაო. ამ დროს ცნობილია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ომის ვეტერანებს პარლამენტში მასპინძლობს.***

— ხო, ჯერ წიხლით უმასპინძლდება და შემდეგ მიღებას უწყობს. ეს ისეთი ორმაგი სტანდარტით თამაშია, რომ ასეთ ადამიანებს ოდითგანვე ფარისევლებს ეძახდნენ. ერთის მხრივ, წიხლს ურტყამს, აპატიმრებს, სულში აფურთხებს და მეორეს მხრივ, მსოფლიოს დასანახად ვითომდა მიღებას უწყობს და 200-ლარიანი ვაუჩერებით უნდა მოისყიდონ ვეტერანები. ხელისუფლებამ მაშინ ძალიან სერიოზულად წააგო. მე ვეტერანების დარბევას ვგულისხმობ. მთელი მსოფლიოს ვეტერანები და არა მარტო ვეტერანები აღშფოთებული იყვნენ ხელისუფლების საქციელით და ახლა ამ 200-ლარიანი ვაუჩერით და მიღებებით და ჭიქა შამპანურით, რომელიც სპორტის მინისტრმა მოაწყო ვეტერანი სპორტსმენებისთვის, ეს ყველაფერი არის თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი.

***— მხოლოდ პიარისთვის იყენებს ხელისუფლება ვეტერანებს?***

— რა თქმა უნდა. მხოლოდ და მხოლოდ პიარისთვის. ეს პიარი ხალხმა უკვე ძალიან კარგად გაიგო, რას ნიშნავს და რისთვის იყენებს მას ხელისუფლება. ყველა ხვდება, რა დგას ვეტერანებისადმი ამ ე.წ. ზრუნვის უკან.

***— რატომ არ არიან, თქვენი აზრით, ვეტერანები სათანადოდ დაფასებული? ბიუჯეტს ამის საშუალება არ გააჩნია?***

— როგორ არ გააჩნია. საქართველოს 7 მლრდ-ზე მეტი ბიუჯეტი აქვს, მაგრამ ბიუჯეტიდან სააკაშვილი თანხებს ყველაფრისთვის იმეტებს, ვეტერანების გარდა. ჯერ შუშის ხიდებისთვის იმეტებდა ფულს სააკაშვილი, შემდეგ არაფრისმომცემი საბაგიროებისთვის, მესტიის საბაგირო გზას ვგულისხმობ, სადაც უკულმა დაამონტაჟეს ეს ანძები. სააკაშვილი იოლად იმეტებს ფულს ასევე კონცერტებისთვის და ბათუმის პლაზას მშენებლობისათვის, ასევე რაღაც საათვისთვის, რომელიც თურმე ბათუმის პლაზაზე უნდა დააყენონ. თურმე ამ საათის ღირებულება თურმე 1,5 მლნ ლარია. ეს მილიონნახევარი ლარი სააკაშვილს საათისთვის ემეტება და არ ემეტება ვეტერანების კეთილდღეობისთვის. ასე რომ, ბიუჯეტს ამის საშუალება აქვს, მაგრამ სააკაშვილს სურვილი არ აქვს, რიმ ვეტერანებს ადამიანურად მოექცეს.

***— ამის მიზეზი რა არის?***

— მიზეზი არის ის, რომ სააკაშვილს ვეტერანები სძულს.

***— დაბოლოს, ბატონო სოსო, დღეს ქართულმა პარტიამ კახეთიდან წამოიწყო საპროტესტო ტალღა სააკაშვილის რეჟიმის შესაცვლელად. შეუერთდება თუ არა ლეიბორისტული პარტია ამ რევლუციურ პროცესს და საერთოდ როგორ აფასებთ მიმდინარე მოვლენებს?***

— ჩვენ ყველა პოლიტიკურ ძალას პატივს ვცემთ და მხარს ვუჭერთ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, თუმცა, ლეიბორისტული პარტია არ უერთდება და პასუხიმგებლობას არ იღებს იმ პროცესებსა და შედეგებზე, რომელიც ასეთ გამოსვლებს მოჰყვება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რევოლუციებს ხალხი ახდენს და არა რომელიმე ლიდერი წინასწარ დადგენილი თარიღით. რაც შეეხება ეროსი კიწმარიშვილის განცხადებას შევარდნებთან დაკავშირებით, კიწმარიშვილი ცნობილია თავისი შევარდნებით და ეს მისი მხრიდან არავის გაგვიკვირდება. ყველას ახსოვს კიწმარიშვილის როლი ვარდების რევოლუციის დროს და ეს არავის არ უნდა გაგვიკვირდეს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# მიხეილ სააკაშვილმა ზუგდიდში აეროპორტის ასაფრენი ბილიკი გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ზუგდიდში აეროპორტის ასაფრენი ბილიკი გახსნა. პრეზიდენტმა პირველი რეისი თავად შეასრულა — „სესნას" ტიპის თვითმფრინავს სააკაშვილი მართავდა.

ამის შემდეგ ქვეყნის პირველი პირი ზუგდიდის მოსახლეობას შეხვდა და დაჰპირდა, რომ მალე ზუგდიდში იტალიელი არქიტექტორის მიერ დაპროექტებული აეროპორტი გაიხსნება, რომლის მეშვეობითაც ფრენები საქართველოს მასშტაბით განხორციელდება. პრეზიდენტის თქმით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტობანის მშენებლობა წელსვე უნდა დასრულდეს, რის შემდეგაც ზუგდიდი საქართველოსაგან „მოწყვეტილი აღარ იქნება და გახდება ისეთი ცენტრი, როგორიც რეალურად უნდა იყოს".



— ვყიდულობთ ფრანგულ თვითმფრინავებს და მომდევნო წლიდან რეგულარულ რეისებს დავიწყებთ. ზუგდიდი დიდი ქალაქია, 100,000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და აქ აეროპორტის გახსნა აუცილებელი იყო. ეს მხოლოდ დასაწყისია. იცით, რომ ჩვენ საქართველოში ათ აეროდრომს ვაკეთებთ. მე თავიდან ყველას დავპირდი, რომ ყველა მათგანს პირადად გავხსნიდი, ამისათვის თვითმფრინავის მართვაც ვისწავლე. ფოთში ერთ წელიწადში სრულდება დიდი აეროპორტის მშენებლობა, ეს მოემსახურება ყველა საერთაშორისო ხაზებს თბილისზე ნაკლები რეისები არ იფრენს და კავკასიაში ყველაზე დიდი აეროპორტი იქნება. ზუგდიდის აეროპორტის მეშვეობით კი ადგილობრივი რეისები განხორციელდება ზუგდიდი-თბილისი, ზუგდიდი-მესტია, ზუგდიდი-თელავი და ასე შემდეგ. ამასობაში აქ ავტობანის მშენებლობაც დასრულდება. ზუგდიდი მოწყვეტილი აღარ იქნება და გახდება ისეთი ცენტრი, როგორიც უნდა იყოს, — განაცხადა პრეზიდენტმა.

**მედიანიუსი**

# ეკა ბესელიამ და კახა კუკავამ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს

„თავისუფალმა საქართველომ„ და მოძრაობამ სოლიდარობა უკანონო პატიმრებს ერთობლივი განცხადება გაავრცელე, რომელშიც ნათქვამია, რომ 6 მაისს ქ. რუსთავში პოლიციამ ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ვალერი დუღაშვილის სახლთან სახალხო კრების და მოძრაობა „არა!"-ს აქტივისტები დააკავა. აქციის მონაწილეები მაღალჩინოსანს კორუფციაში ადანაშაულებდნენ.



— ჩვენი შეფასებით, აღნიშნული დაკავება წარმოადგენს ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების ახალ ტალღას. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს საქართველოში ადმინისტრაციული პატიმრობა არსებითად გადაიქცა გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ოფიციალურ რეპრესიის ფორმად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საპატრულო სამსახურის ცინიზმით აღსავსე მოქმედებები, რაც სრულიად არ შეესაბამება იმ იმიჯს, რაც კარის მომღერლების მიერ კლიპებშია შექმნილი. მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, გააფრთხილონ საქართველოს ხელისუფლება, რომ შეაჩერონ პოლიტიკური რეპრესიები საქართველოში, რაც ქვეყანას დესტაბილიზაციით ემუქრება. ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, შეწყვიტოს ძალადობრივი მეთოდებით საზოგადოების დაშინება, ამითი ის ვერ შეაჩერებს ჩვენი ორგანიზაციების ბრძოლას დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ, — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ხელს „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ლიდერი ეკა ბესელია და „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა აწერენ.

**მედიანიუსი**

# აქციებზე კანონდარღვევას კანონიერი რეაგირება მოჰყვება

საპარალმენტო უმრავლესობის წარმომადგენლის გიორგი გაბაშვილის განცხადებით, რუსული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პარტიებს სიტუაციის გამწვავება და საზოგადოების დაპირისპირება სურთ, რასაც საქართველოს ხელისუფლება არ დაუშვებს.



როგორც გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას გაბაშვილმა აღნიშნა, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, ყველა პარტიას და ნებისმიერ ადამიანს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება აქვს, თუმცა თუ დაგეგმილი აქციებისას კანონდარღვევას ექნება ადგილი, მას ასევე კანონიერი რეაგირება მოჰყვება.

— ხელისუფლება მოსკოვში დაწერილი სცენარით საქართველოში მოვლენების განვითარებას არ აპირებს. მოსკოვში დაწერილი სცენარით აქ ვერავინ მოახერხებს არეულობას, — განაცხადა გაბაშვილმა.

**მედიანიუსი**

# პოლიცია აქციის დარბევას ვერ გაბედავს

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ სახალხო კრების ლიდერ ნონა გაფრინდაშვილთან

***— ქალბატონო ნონა, ცნობილია სახალხო კრების გადაწყვეტილება, რომ 21 მაისიდან იწყებთ აქციებს, თუმცა ქართულმა პარტიამ დაგასწროთ და საპროტესტო აქციები 9 მაისიდან დაიწყო. რა ხდება ოპოზიციაში, დასწრებაზეა თარიღების დასახელება თუ რასთან გვაქვს საქმე? თქვენ როგორ შეაფასებთ ამ ყველაფერს?***

— მე არავითარ კომენტარს არ გავაკეთებ მათ ამ ნაბიჯზე. ჩვენ ჩვენი გეგმები გვაქვს, ისინი რაიონებში გადიან და იქ აკეთებენ. ეს მათი საქმეა. მე ამაზე კომენტარს არ ვაკეთებ.

***— არის იმის შანსი, რომ ეს ორი ოპოზიციური ძალა ერთად დადგეს საბოლოო ჯამში?***

— ამას პროცესები დაგვანახებს. ჩვენ ჩვენი გეგმით მივდივართ, ვიწყებთ 21-ში და ვისაც სურვილი აქვს და მართლა უნდა ამ ხელისუფლების გაშვება და მოინდომებს ხალხის გვედში დადგომას, არავინ არავის ხელს არ შეუშლის. აქ სიმპათია-ანტიპათია არაფერ შუაში არ არის. ჩვენი მიზანი ერთადერთია, ეს ძალადობრივი რეჟიმი მოვაცილოთ აქაურობას და შევქმნათ პირობები დემოკრატიული არჩევნებისთვის, ეს არის და ეს, რადგან სკამების დაკავებას არავინ არ აპირებს. უბრალოდ, ჩვენ გვინდა ერთხელ და სამუდამოთ საქართველოში ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები. ვერც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება შეუწყობს ამას ხელს და ვერც ვერაფერი, თუ ისევ ჩაერივნენ ძალოვანი სტრუქტურები და გამოყენებული იქნა სახელმწიფო რესურსები. ამიტომ გავხდით ჩვენ იძულებული, რომ გამოგვეყენებინა ჩვენ კონსტიტუციის მეხუთე მუხლით მონიჭებული უფლება. ხალხს აქვს უფლება, ის მთავრობა, რომელიც ხალხის დაკვეთას ვერ ასრულებს, გადააყენოს. ჩვენ ეს გამოგვიყვანს ქუჩაში, ეს გადაწყვეტილება მიიღო სახალხო კრებამ. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით. ახლა 21 ისე მოფიქრებული რიცხვი კი არ არის. ჩვენ მიზანმიმართულად მივიწევდით წინ, ვძლიერდებოდით და რასაც ჩვენ ვამბობდით, რომ ამას გავაკეთებთ, ჩვენ ფაქტიურად ყველაფერი გავაკეთეთ და ვაკეთებთ. არც ერთი ცდომილება ჩვენ არ გვქონია და მზად ვართ უკვე 21-ისთვის. იმედი მაქვს, რომ საზოგადოება ყურად მიიღებს ჩვენს მოწოდებას და გამოვა 21 მაისს 3 საათზე თავისუფლების მოედანზე. ჩვენ ვპირდებით მათ, რომ ჩვენგან არ იქნება უკან დახევა, ეს იქნება ბრძოლა ბოლომდე.

***— ქალბატონო ნონა, თარიღის გამოცხადების შემდეგ საკმაოდ ბევრი კრიტიკაც წამოვიდა იგივე თქვენი კოლეგების მხრიდან, რომ სახალხო კრება კონკრეტულ გეგმებზე არ საუბრობს და არ ვიცით რისთვის მივიდეთო...***

— იცით რა, სახალხო კრება რაც შედგა, იმის შემდეგ ჩვენთან მოდის ზუსტად ასეთი შემოტევები ყველა მხრიდან, რომ არ ვიცით, რა გეგმები აქვთო. კაცო, გეგმა ერთია, რომ ეს ძალადობრივი და უსამართლო ხელისუფლება გავუშვათ. თუ ეს არ იციან იმ ძალებმა, ვინც ამას ამბობენ, ეს უკვე მათი პრობლემაა. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ ჩვენს გეგმებზე, უფრო კონკრეტულად რა უნდა ვთქვათ. ვთქვით ის, რომ ერთდროულად ვიწყებთ აქციას თბილისში, ბათუმში და კიდევ რამდენიმე რაიონში მზად არიან. კიდევ უფრო მეტი დაკონკრეტება არავის არ სჭირდება.

***— თქვენ ბათუმი ახსენეთ და აქციები იქ გაიმართება თუ ყველა ერთად თბილისისკენ დაიძვრება?***

— არა, ჩვენ იქაც ვატარებთ აქციებს. თავიდან თბილისი იქნება ეპიცენტრი, მაგრამ ეს გადაედება რეგიონებსაც. ვნახოთ, როგორ წარიმართება სიტუაცია, ყოველ შემთხვევაში, 74 კომიტეტი ტყუილად კი არ არის შექმნილი. 74 შეფიცულთა ჯგუფი და 74 ახალგაზრდული ჯგუფი. ასე რომ, ამ ხნის განმავლობაში ყველაფრისთვის მოვემზადეთ. ჩვენ გვესმის, რომ შეცდომის დაშვება არ შეიძლება. თუ ხალხი არ გამოვიდა თავის უფლებების დასაცავად, თავის ღირსების აღსადგენად და რაც მთავარია, ქვეყნის გადასარჩენად, არაფერიც არ ეშველება. რაც მეტი ხალხი გამოვა, მით უფრო უმტკივნეულოდ ჩაივლის ყველაფერი. ამიტომაც ჩვენ სერიოზულად ვემზადებოდით. აი, ის ნიჰილიზმი, რაც არსებობს ხალხში, ჩვენ გვინდოდა ამ შეხვედრებით, ამ კომიტეტების შექმნით, ჩვენი მოძრაობებით საქართველოს რეგიონებში ჩვენ გვინდოდა გაგვექარწყლებინა



ეს უიმედობა, გვეთქვა, რომ ეს არის ერთ-ერთი ბოლო შანსი ჩვენი ქვეყნის გადარჩენისა.

***— საზოგადოებაში მართლაც რომ სუფევს ნიჰილიზმი და უიმედობა და ალბათ აღარასოდეს გამოვა ხალხი ქუჩაში ამჯერადაც თუ მოტყუებული დარჩა...***

— არა, მოტყუებული ნამდვილად არ დარჩება. რამდენიც არ უნდა გამოვიდეს ხალხი, ჩვენ ვიწყებთ დაუმორჩილებლობის აქციას! მე მგონია, რომ ხალხის დიდი რაოდენობა უნდა გამოვიდეს და თუ პირველ დღეს მაინც არ გამოვა ხალხის ის რაოდენობა, მეორე და მესამე დღეს აუცილებლად მოიმატებს მუხტი. იცით რა, ტელევიზია რომ იყოს ჩვენს ხელში, სადაც საშუალება იქნება, რომ ელაპარაკო სიმართლეზე ადამიანებს და ეს მაუწყებლობა ვრცელდებოდეს საქართველოს მასშტაბით, სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, სამთავრობო არხებიდან ვირტუალურ ქვეყანაზე ელაპარაკებიან ხელისუფალნი მოსახლეობას. სულ რომ ერთი და იმავეს იმეორებ და ხალხს აწოდებ არასრულ ინფორმაციას, ამოგდებულ ტექსტებს, ზემოქმედება მაინც გრძელდება. მე ძალიან მომეწონა ნათელაშვილის გამონათქვამი, როცა ომის წაგების შემდეგ ესენი იძახდნენ, რომ ომი ჩვენ მოვიგეთო, ნათელაშვილმა იდეალური ფრაზა თქვა, რომელიც ძალიან მომეწონა, ჰიტლერს რომ ეს ტელევიზიები ყოლოდა და განსაკუთრებით რუსთავი ორზე გაამახვილა ყურადღება, დღესაც მოგებულები იქნებოდნენო.

***— ითქვა ისიც, რომ საკმაოდ ცუდი დრო შეარჩიეს იმ თვალსაზრისით, რომ ზაფხული მოდის და აუცილებლად მოუწევთ ტაიმაუტის აღებაო...***

— ბოდიშს ვიხდი, ჩვენ ტაიმაუტის აღებას არ ვაპირებთ და არც პროცესის ძალიან გაწელვას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავარია საზოგადოება დადგეს ფეხზე. თუ საზოგადოება დაგვიჯერებს და შიშის გრძნობას გადააგდებს, მერწმუნეთ, რომ ეს პროცესები დიდხანს არ გაგრძელდება. ეს მსოფლიოში მომხდარმა მოვლენებმაც დაგვიდასტურეს. წავიდა ის დრო, როცა ყველა შემთხვევაში მხარდაჭერა ჰქონდა ხელისუფლებას. დღეს ეს აღარ არსებობს. იმიტომაც არის, სადაც ხალხია და სადაც მასა ჩანს, იქ ნამდვილად ეშინია ხელისუფლებას. თუნდაც ამ ბოლო მოვლენების შემდეგ.

***— ძალიან ბევრი განცხადება მოვისმინეთ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ამ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ...***

— დემოკრატიის შუქურას რომ ეძახდნენ, შემდეგ ამის გადახარშვა ძნელი იყო და ძალიან დიდი ხანი მოანდომეს ამას. სააკაშვილს საპრეზიდენტო არჩევნები არ მოუგია. მაშინ ხალხის მასა არ იქნა გამოყენებული, თორემ იმ დროს უნდა დამთავრებულიყო სააკაშვილის რეჟიმი. აქ ერთ კაცში არ არის საქმე, მთლიანად სისტემაა შესაცვლელი. ამ ახალგაზრდებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ, არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ, არ ჰქონდათ გავლილი ის აუცილებელი სამუშაო პროცესი, რომელიც უნდა ჰქონოდათ. პირდაპირ ძალაუფლებას რომ იგდებდნენ ხელში, უზარმაზარ ძალაუფლებას და კარგ პირობებს, მაშინ, როცა ორი მესამედი მოსახლეობის სიღარიბის ზღვარს ქვევით არის. ამან, რა თქმა უნდა, სმენაზე დააყენა ეს ახალგაზრდები და ერთი ადამიანის მოთხოვნების უსიტყვო შემსრულებლები არიან, ხმას ვერ იღებს ვერავინ. პროფესიონალიზმი უკუუგდებული იქნა, 40 წლიანები, წესით, რომლებიც უნდა მართავდნენ ქვეყანას, მთელ მსოფლიოში ამ ასაკიდან იწყება მართვა ქვეყნის, მათ ფაქტიურად განზე მოისროლეს და ინსტიტუტ დამთავრებულებს ყველანაირი პრაქტიკის და გამოცდილების გარეშე, ასევე კაცმა არ იცის როგორ ამთავრებენ ამ ინსტიტუტებს, პირდაპირ მწვანე შუქი აუნთეს. დღეს არც სასამართლო გვაქვს, არც პარლამენტი და არც პრემიერი გვყავს. ელემენტარულად, მე ჯერ არ მინახავს სააკაშვილის მიერ ემოციურ ნიადაგზე წამოსროლილ რაღაც წინადადებას საწინააღმდეგო აზრი მოჰყოლოდეს. იმიტომ, რომ დღეს ამის თქმას ვერავინ ვერ ბედავს. ორი ადამიანი იყო, ვისაც შეეძლო შეწინააღმდეგებოდა სააკაშვილს და დაებლოკა მისი წინადადებები რაღაცა კუთხით და ერთი მათგანი გარდაცვლილია, მე ჟვანია მყავს მხედველობაში და მეორე — ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ჩვენ გვერდით დგას და რომ იტყვიან, მაგრადაც დგას ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

***— ქალბატონო ნონა, რვიანის საქმიანობამაც გვაჩვენა, რომ ეს ხელისუფლება დიალოგზე არ მოდის, ეს პროცესიც ჩაიშალა. ბევრი თვლის, რომ ერთადერთი შანსი მხოლოდ ქუჩის აქციებია...***

— იცით, მე უბრალოდ გამკვირვებია ამ ხალხის. ახლა არც არავის ვუტევ და არც არაფერი. ვინ ვინ და ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთელი სახელმწიფო რესურსი, მთელი ძალოვანი სტრუქტურები ჩართულები არიან არჩევნების გაყალბებაში. რაც არ უნდა იდეალური იყოს საარჩევნო გარემო, დღეს ცესკო მაგათია და როგორც უნდა, ისე დათვლიან. ჩვენი მიზანიც ეს არის, არავინ არ აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას არჩევნების გარეშე, მაგრამ არჩევნები უნდა იყოს დემოკრატიული და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება მაშინ, როცა ეს რეჟიმი არ იქნება.

***— ხელისუფლება სერიოზულად ემზადება, რომ დაარბიოს სახალხო კრების მიერ ორგანიზებული აქციებიო. ამისთვის რამდენად ხართ მზად?***

— ყველაფრისთვის მზად ვართ. იცით რა, უფრო უმტკივნეულოდ ჩაივლის ყველა პროცესი თუ ბევრი ხალხი გამოვა. აი, ეს არის მნიშვნელოვანი. მე რომ ვამბობ, ყველაფრისთვის მზადა ვართ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ იარაღს ავიღებთ ხელში. უბრალოდ, შეკრული უნდა იყოს პროცესი და უნდა დავანახოთ, რომ მაგრად და მყარად ვდგავართ ფეხზე და დარბევა ასე ადვილი არაა. ზუსტად როცა ხალხს ესროლეს, მაშინ იყო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს იგივე ტუნისელ და ეგვიპტის მოსახლეობას. ასე რომ, წავიდა ის დრო, როცა ხელისუფლებას შეეძლო თავისუფლად ესროლა თავისი ხალხისთვის. დარწმუნებული ვარ, იგივე ძალოვან სტრუქტურებში თუ გაიცა ასეთი ბრძანება, ბევრი ალბათ არ დაემორჩილება. ისინი ერთ ადამიანს კი არ ემსახურებიან, ისინი უნდა ემსახურონ საქართველოს, მთლიანად ქვეყანას.

***— თუმცა ფაქტია, რომ დღეს მთლიანად მათ ხელშია ჯარიც და პოლიციაც და სწორედ მათ ნება-სურვილს ასრულებს...***

— გასაგებია და ამიტომაც ვაწყობთ ჩვენ ამ ყველაფერს, რომ ეს რეჟიმი მოვაცილოთ ამ ქვეყანას. იქ ერთ ადამიანზე არ არის ლაპარაკი, ლაპარაკია მთელ სისტემაზე. ეს არის ჯგუფი ადამიანებისა, რომელთაც ხელში უკავიათ ძალაუფლება. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი რამ დავამატო, ვინც ამ ბრძოლაში ვართ ჩართული, ძალიან კარგად ვართ გარკვეული, თუ ვის რა ქონება აქვს, ვინ რა მიითვისა, მაგრამ თემურ შაშიაშვილის მიერ მომზადებულმა მასალამ, რომელსაც მხილების მუზეუმი ჰქვია და სტენდის სახით ამის პირველი გამოფენა მოეწყო რუსთაველის ძეგლთან, მე მივედი და დავათვალიერე. უნდა გითხრათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრის აზრზე ვიყავი, ერთად თავმოყრილი რომ ვნახე ეს ყველაფერი, პირდაპირ შოკში ჩავვარდი. ერთმა ჯგუფმა მიითვისა საქართველოს მთელი ქონება.

***— იმ შემთხვევაში, თუ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა სააკაშვილმა, მაშინ რას აპირებთ?***

— ვერ გამოაცხადებს. საგანგებო მდგომარეობა ასე ადვილად არ ცხადდება. მოდით, მოვლენებს ნუ დავასწრებთ.

შედით საიტზე atb.ge



# მედვედევმა 9 მაისი, სააკაშვილის გარდა, ყველას მიულოცა

## რუსეთი არაადეკვატურ პოლიტიკას აწარმოებს



**საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე გრიგოლ ვაშაძის განცხადებაზე კომენტარი გააკეთა. ვაშაძემ მედვედევის 9 მაისთან დაკავშირებული მილოცვა არ მიიღო და კლოუნადას შეუზღუდაობაზე ისაუბრა.**

ნათია ხურცილავა

რუსული პრესა აღნიშნულთან დაკავშირებით ორი ქვეყნის ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვაზე საუბრობს.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფაშიზმზე გამარჯვება მიულოცა ყველა ქვეყნის ხალხს თავის პრეზიდენტთან ერთად. ქართველ ხალხს ფაშიზმზე გამარჯვება მედვედევმა საქართველოს პრეზიდენტის და ხელისუფლების გარეშე მიულოცა. კალანდაძე აცხადებს, რომ სავარაუდოდ ეს გახდა ვაშაძის გაღიზიანების მიზეზი. ასეთი შეფასება გაკეთდა გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

— მილოცვის სწორედ ასეთმა ფორმამ გამოიწვია სავარაუდოდ მინისტრის ასეთი შეაფსება. როდესაც ოფიციალური მილოცვა ხორციელდება, მათ შორის იმ სახელმწიფოებთან, რომელთანაც დაძაბული ურთიერთობა გაქვს, სახელმწიფო მეთაურს თუ აქვს სურვილი, რომ მიულოცოს, ეს კეთდება ისე, როგორც ეს არის აღიარებული. საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე მილოცვა მიიღო. როდესაც ულოცავ ხალხს, ულოცავ მის ლეგიტიმურ და ოფიციალურ წარმომადგენელს, ეს არის ერთადერთი აღიარებული ფორმა ხალხთა შორის ურთიერთობის. თუ მილოცვა გულწრფელი იყო, იმ ფორმით უნდა განხორციელებულიყო, რა ფორმაც არის ოფიცალურად მიღებული, მაგრამ როდესაც მილოცვა ასეთი ფორმით ხორციელდება და სახელმწიფოს მეთაური ამ ნაბიჯს დგამს, ალბათ ამით იყო გამოწვეული მინისტრის გაღიზიანება, — აღნიშნავს ნინო კალანდაძე.

რაც შეეხება მოყვება თუ არა დამატებითი გაღიზიანება გრიგოლ ვაშაძის შეფასებას, კალანდაძე აცხადებს, რომ წარმოუდგენელია რუსეთის დამატებით გაღიზიანება რა სახის უნდა იყოს.

— რუსეთი არაადეკვატურ პოლიტიკას აწარმოებს საქართველოსთან მიმართებაში, სრულიად შეუსაბამოს დღევანდელ რეალობასთან. შეუსაბამოს საერთაშორისოდ აღიარებულ თანამშრომლობის ფორმატებთან. რაც შეეხება პროვოცირებას, ამას მე ვერ დავარქმევდი, რუსეთი ღიზიანდება ნებისმიერი სახის კომენტარზე თუ ნებისმიერ კომენტარზე, რასაც საქართველო ახორციელებს. ამდენად, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ თავისი საქმიანობა ისე არ უნდა წარმართოს, როგორც ის მიიჩნევს საჭიროდ, — აღნიშნავს კალანდაძე.

საგარეო საქმეთა სამინისტროში კომენტარი ასევე გაკეთდა გრიგოლ ვაშაძის ინიციატივაზე, რომ 8 მაისს აღინიშნოს ფაშიზმზე გამარჯვების დღე.

— ისტორიულად 8 მაისი არის ფაშიზმზე გამარჯვების დღე. სწორედ ამას ეფუძნება გრიგოლ ვაშაძის ინიციატივა. თუმცა, გაზიარებული იქნება თუ არა, ეს ფართო განხილვის თემას უნდა წარმოადგენდეს. მათ შორის გასათვალისწინებელი იქნება იმ ადამიანების დამოკიდებულება, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ, — აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ მიმდინარე კვირას დაგეგმილ ვიზიტებზე ისაუბრა. საქართველოში 12-14 მაისს ოფიციალური ვიზიტით ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოდის. დელეგაციაში ასევე შედიან იუსტიციისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე და ჩეხი ბიზნესმენები.

13 მაისს დაგეგმილია ქართულ-ჩეხური ბიზნესფორუმის ორგანიზება საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროში, სადაც მონაწილეობის მიიღებენ ჩეხეთის ბიზნესწრეების წარმომადგენლები.

— ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს კარგი და გულთბილი მეგობარია, რომელთანაც სისტემატურად მიმდინარეობს შეხვედრები. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია რამდენიმე ხნის წინ იმყოფებოდა ჩეხეთში ოფიციალური ვიზიტით. გარდა იმისა, რომ შეხვედრაზე განხილული იქნება ორმხრივი პოლიტიკური საკითხები, ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ სწორედ განსაკუთრებული აქცენტები ეკონომიკურ თანამშრომლობაზე გაკეთდება. იმედი გვაქვს, მათ შორის იმ ბიზნესმენების თვალში, რომლებიც პირველად ჩამოვლენ საქართველოში, ჩვენ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის მაქსიმალურად დადებითი კუთხით წარმოჩენას და მათ დაინტერესებას, — განაცხადა კალანდაძემ.

10 მაისს ვაშინგტონში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული ქარტიის ფარგლებში ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართება, რომელიც რიგით მეოთხეა.

უწყებათა შორის შეხვედრები მინისტრების მოადგილეების დონეზე იმართება. ამერიკის მხრიდან წარმომადგენლობითი დელეგაცია იღებს მონაწილეობას, შესაბამისად, ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ დაგეგმილი პროექტების ადეკვატური განხილვა მოხდება.

10 მაისს ვარშავაში ასევე იგეგმება ეკონომიკური საკითხების განხილვა, სადაც დაგეგმილია საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მეორე სხდომა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, შემოსავლების სამსახურის და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

კიდევ ერთი საკითხი, რასაც საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა, სტამბულში დაგეგმილ კონფერენციას ეხება. ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მეოთხე კონფერენცია ჩატარდება სტამბულში, რომელიც გაეროს ეგიდით ტარდება. კონფერენციის მასპინძელი თურქეთის პრემიერ-მინისტრია, შესაბამისად ქართული მხრიდან მოსაწვევი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მიიღო და სწორედ გილაური წარმოადგენს საქართველოს აღნიშნულ კონფერენციაზე.

## ეროვნული საბჭო ექსპერტებს ახალი სამეზობლო პოლიტიკის კონცეფციას წარუდგენს

დღეს „ეროვნული საბჭო“ ახალი სამეზობლო პოლიტიკის კონცეფციის განხილვას მოაწყობს.

როგორც „მედიანიუსს“ ეროვნულ საბჭოში განუცხადეს, კონცეფციის განხილვას ექსპერტები დაესწრებიან და „საბჭოს“ ლიდერები მათ მოსაზრებებს მოისმენენ.

მათი ცნობით, სამეზობლო პოლიტიკის კონცეფციის განხილვა უახლოეს მომავალში მოსკოვში, რუსი ექსპერტების მონაწილეობითაც გაიმართება.

რუსეთის შემდეგ კი, მისი განხილვა ევროპაშია დაგეგმილი.

**მედიანიუსი**

## 2012 წლის ბიუჯეტის მიმართულებებზე შეხვედრები გაიმართება



საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საჯარო კონსულტაციები დღეს ფოთსა და ზუგდიდში ჩატარდება.

ამ მიზნით სამეგრელოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი ეწვევიან.

ისინი შეხვედრას ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გამართავენ, მოსახლეობას მომავალი წლის პრიორიტეტებზე ინფორმაციას გააცნობენ და დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხებენ. შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და მედია დაესწრებიან.

დღესვე მელიქიშვილი და სუბელიანი ფოთში ჩავლენ, სადაც შეხვედრას ვალერიან გუნიას სახელობის თეატრში გამართავენ.

ანალოგიური შეხვედრების გამართვა ბათუმში, ხონში, თელავში, რუსთავში, წალკაში, ამბროლაურში, ჭიათურაში, ქუთაისსა და გორშიც იგეგმება. საჯარო კონსულტაციების პროექტს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მხარდაჭერითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური დახმარებით ახორციელებს.

საჯარო კონსულტაციების პრიცესის დასრულების შემდეგ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და ფინანსთა სამინისტრო მოსახლეობის მიერ გამოთქმულ კომენტარებს შეაჯამებენ და მათ რეკომენდაციებზე დაყრდნობით ძირითადი მიმართულებების დოკუმენტს შეიმუშავებენ.

**მედიანიუსი**

## ილია მეორემ ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავს ნაკურთხი წყალი აპკურა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მეორე ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავს ნაკურთხი წყალი აპკურა და ომში დაღუპულ ქართველთა სახელზე სანთლები დაანთო.

როგორც უწმინდესმა ბრძანა, მეორე მსოფლიო ომის დროს პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი დაიღუპა და მან მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველთა სულები უფალს შეავედრა.

**მედიანიუსი**

## ედუარდ შევარდნაძე: ხალხი თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის

საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის შეფასებით, დღეისათვის ოპოზიციას ქუჩაში 10 ათასი დემონსტრანტის გამოყვანაც კი არ შეუძლია.

როგორც შევარდნაძემ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ე.წ. „დაანონსებულ რევოლუციებზე“ კომენტირებისას განაცხადა, ორი წლის წინ სააკაშვილის ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით ქუჩაში 60 ათასი ადამიანი გამოვიდა, თუმცა ოპოზიციამ ვერ შეძლო იმის გაკეთება, რაც უნდა გაეკეთებინა.

— რევოლუციას ხალხი ახორციელებს და არა ოპოზიცია. დღეს ოპოზიცია ქუჩაში 10 ათას ადამიანსაც კი ვერ გამოიყვანს. დიდი რაოდენობით ხალხის მობილიზებას დრო დასჭირდება, თუმცა მოსახლეობას ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად აქვს და ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო მომავალში ხალხი თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის, — განაცხადა შევარდანძემ.

შეგახსენებთ, რომ ხელისუფლების შეცვლის მიზნით „ქართულმა პარტიამ“ საპროტესტო აქციები დღეიდან კახეთის რეგიონიდან დაიწყო, ხოლო „წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ საპროტესტო გამოსვლებს 21 მაისიდან იწყებს.

**მედიანიუსი**

## 9 მაისი ხაშურშიც აღნიშნეს

ხაშურში მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით, გუშინ, ფაშიზმზე გამარჯვების 66-ე წლისთავი საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან ერთად, გვირგვინებით შეამკეს სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მამუკა მოსიაშვილმა ვეტერანებს 9 მაისი მიულოცა და ამ დღესთან დაკავშირებით, ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივა გააცნო, რომლის თანახმადაც, თითოეულ ვეტერანს საჩუქრად საბანკო ანგარიშზე დაერიცხება თანხა - 75 ლარის ოდენობით. საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს სიმღერის ფოლოკლორულმა ანსამბლმა შვიდკაცამ„, ცეკვის ფოლკლორულმა ანსამბლმა ფრესკამ„, ხალხურ საკრავთა ანსამბლმა ლომისმა„ და სხვა შემოქმედებითმა ჯგუფებმა. ღონისძიებას ომის ვეტერანებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

**პრაიმ-ნიუსი**

## იაპონიამ ატომური ელექტროსადგურის მუშაობა დროებით შეაჩერა

გუშინ იაპონიის მთავრობისა და ბირთვული სააგენტოს გადაწყვეტილებით ქვეყნის სიდიდით მესამე „ჰამაოკას“ ატომური ელექტროსადგური დროებით დაიხურა.

ატომური ელექტროსადგური მას შემდეგ ამუშავდება, როდესაც რეაქტორებზე მიწისძვრისა და ცუნამისგან დამცავ საშუალებებს ააგებენ.

შეგახსენებთ, იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ნაოტო კანმა აღნიშნული ატომური ელექტროსადგურის მფლობელ კომპანია „ჩჰუბუ ულეცტრიც“ს გასულ კვირას დახურვის მოთხოვნით მიმართა.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მთავრობის გადაწყვეტილება დღეს დააკმაყოფილა.

**მედიანიუსი**

## ყოფილი რესპუბლიკელი მურმან დუმბაძე „სახალხო კრებას“ შეუერთდა

ყოფილი რესპუბლიკელი მურმან დუმბაძის თაოსნობით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი მოძრაობა „ემსახურე საქართველოს“ „სახალხო კრებას შეუერთდა“.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, ისინი დადებითად აფასებენ მურმან დუმბაძის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „სახალხო კრებასთან“ შეერთებას და მიიჩნევენ, რომ ეს არის აჭარაში „სახალხო კრების“ პოზიციების გაძლიერების დასტური.

დუმბაძის თქმით, ორგანიზაცია შეიქმნა და „სახალხო კრებას“ უერთდება იმისათვის, რომ ემსახუროს ხალხს.

— ეს მოძრაობა მხარს უჭერს ,,სახალხო კრებას“, რაც ნიშნავს ერთობლივ, კოორდინაციულ მოქმედებას, — განაცხადა დუმბაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ 21 მაისამდე „სახალხო კრებას“ ბევრი ადამიანი და პოლიტიკური პარტიაც კი შეუერთდება.

— დარწმუნებული ვარ, რომ 21 მაიის დაიწყება ის პროცესი, რომლითაც გავისტუმრებთ ამ ხელისუფლებას, — განაცხადა ბურჯანაძემ.

შეგახსენებთ, რომ მურმან დუმბაძე რესპუბლიკური პარტიის აჭარის რეგიონულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, თუმცა იდეოლოგიური დაპირისპირების გამო ის და მისი 300 თანამოაზრე ორი თვის წინ პარტიიდან გარიცხეს.

**მედიანიუსი**

# ჩვენ ოპოზიციას არ ვლანძღავთ

## ქრისტიან-დემოკრატები პროგნოზების გაკეთებისგან თავს იკავებენ

ნანა მიშელაშვილი

**ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე „ქართული პარტიის" ლიდერებს ურჩევს საკუთარ პარტიაში ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ. ვეფხვაძე კიწმარიშვილის შეფასებას ლეღვის ფოთლებთან დაკავშირებით უზრდელობად მიიჩნევს და იხსენებს, რომ თავის დროზე, ეს ბიბლიური მეტაფორა ერთხელ უკვე ითქვა, რამაც დიდი დავიდარაბა გამოიწვია.**



ვიცე-სპიკერი იმასაც ამბობს, რომ ერთი თვის წინ, სოზარ სუბარი „რვიანის" ერთ-ერთ წარმომადგენელს ესაუბრა ერთმანეთის მიმართ თავდაუსხმელობაზე, თუმცა, შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილი გამოვიდა და სულ ნაფტალინიანი პოლიტიკოსები იძახა.

ვინ არის „ქართული პარტიის მთავარი სამიზნე? რატომ არის ოპოზიცია დაქსაქსული და ვინ ხეირობს ოპოზიციაში მიმდინარე დაპირისპირებით?

„ახალი თაობა" **ლევან ვეფხვაძეს** ესაუბრა:

— ***საარჩევნო მოლაპარაკებები ისევ ჩიხშია შესული თუ რაიმე სიახლეა?***

— განსაკუთრებული არაფერი არ ხდება. როგორც ჩანს, მოლოდინის რეჟიმში გადავედით, კონტაქტები ალბათ იქნება. გარკვეული მცდელობა მოლაპარაკებების განახლების იქნება, თუმცა, ალბათ 21 მაისამდე მოლაპარაკება არ განახლდება. ხელისუფლება 21 მაისამდე დათმობაზე რომ წამოვიდეს, ისინი ფიქრობენ, ეს სუსტად იქნება აღქმული აქციების წინ. მათი თვალთახედვით, სისუსტის გამოჩენა სწორი არ იქნება. ძალიან ცოტა ვინმე მგონია, რომ სააკაშვილს იდეის გამო უჭერდეს მხარს. ელექტორატის ნაწილი იმის გამო უჭერს ნაციონალურ მოძრაობას მხარს, რომ „მიშა მაგარიაზე" არის დაფუძნებული. თუ სააკაშვილმა დათმობები დაიწყო, მაშინ მაგარი აღარ იქნება. ეს არის მათი ხედვა. აქედან გამომდინარე 21 მაისამდე მოლაპარაკებებში განსაკუთრებულ წინსვლას არ ველოდები.

— ***შეთანხმების პროცესი სადამდე შეიძლება გაგრძელდეს?***

— ეს რთული თემაა, ამას სჭირდება შეთანხმება, მერე კანონის ფორმით ჩამოყალიბება, ექსპერტიზაზე ვენეციის კომისიაში გადაგზავნა, პასუხის მიღება. როგორ ფიქრობთ, ახლა ვენეციის კომისიის 10 ექსპერტი ზის და ელოდება, არიქა, როდის გადმოაგზავნიან ცვლილებებსო? პრინციპული შეთანხმება და საკანონმდებლო ჩონჩხი უნდა იყოს ზაფხულში, იმისათვის, რომ წლის ბოლომდე კანონად ვაქციოთ. 2012 წლის დასაწყისში ახალი კოდექსი უნდა იყოს.

— ***მერე როგორი მოლოდინია, მზად იქნება?***

— შეიძლება არ იყოს, ხელისუფლება გაორებულია.

— ***რას გულისხმობთ?***

— ერთი მხრივ, საერთაშორისო კუთხით სჭირდებათ შეთანხმება და წესით არაფერს არ უნდა იშურებდნენ, რომ ფორმატი აღდგეს, მაგრამ ველოსიპედებს იგონებენ. ეს ველოსიპედიც აღარ არის „სამაგატკაა", თვითმრბენი გამოიგონეს. ფაქტია, რომ მოლაპარაკების ფორმატი უნდა აღდგეს, საერთაშორისო მხარდაჭერა იმ ფორმატს აქვს, რაც ცესკოში მიმდინარეობს. მეორე მხრივ, ისინი კარგად ხვდებიან, რომ წლის ბოლომდე პოლიტიკური სიტუაცია შესაძლოა ისე გართულდეს, კიდევ მოუწიოთ რაღაც-რაღაცეების დათმობა. ამიტომ ფიქრობენ, ახლა დათმონ, შემდეგ კიდევ დათმონ, ბევრი დათმობა მოუწევთ. გაორებულები არიან. შედეგი ახლაც სჭირდებათ, მაგრამ თან ფიქრობენ, როდესაც ყველაზე მეტად გაუჭირდებათ, მაშინ დათმონ.

— ***საერთაშორისო ზეწოლა ხელისუფლებაზე იმდენად დიდია, რომ საარჩევნო კოდექსი 2012 წლისთვის მზად იქნება?***

— ფაქტია, რომ ისინი დაინტერესებული არიან 2012 წლის არჩევნების შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებმა თქვან, რომ ეს არჩევნები დემოკრატიულ სტანდარტებთან არის მიახლოებული. თუ ამას არ იტყვიან, სააკაშვილი ერთი ერთზე რჩება რუსეთთან, რაც ძალიან დიდ საფრთხეებს უქმნის. ასე რომ, ძალიან მარტივია, ან ერთი ერთზე დარჩება რუსეთთან და ქვეყანას გაწირავს, ან მშვიდად დათმობს ამ პროცესს და შესაძლოა არჩევნები წააგოს.

— ***„თავისუფალი დემოკრატების" წევრი გიორგი ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ თუ მაისის ბოლომდე საარჩევნო კოდექსის პრინციპულ საკითხებზე შეთანხმება არ მოხდა, გამორიცხული არ არის, რომ მათ აქციები დაიწყონ. თქვენ რა პოზიცია გაქვთ?***

— მოდით ივნისში აქციების საჭიროება-არასაჭიროებაზე ვისაუბროთ. თუ ეს აქციები, რომელიც ახლა იგეგმება ჩვენი ოპოზიციონერი კოლეგების მიერ, მაისში წარმატებით დასრულდა, ეს ნიშნავს, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში აღარ იქნება. მაშინ ვის უტარებ აქციებს? თუ 21 მაისის აქციები უშედეგოდ დასრულდა, მაშინ ელემენტარულად შენ ველარ გამოიყვან ხალხს, იმიტომ, რომ 21 მაისს ვინც აქციებს იწყებს, ძალიან მარტივი თემით გამოჰყავთ ხალხი — წავიდეს სააკაშვილი! საარჩევნო კოდექსი ბევრისთვის ძალიან ძნელი ასახსნელია, თუ მარტივ ლოზუნგზე არ გამოვიდა ხალხი, არც საარჩევნო კოდექსზე გამოვა.

— ***თანაც ივნისში აქციების დაწყება მაინცდამაინც მომგებიანი არ არის?***

— შეიძლება 21 მაისს დაწყებულმა აქციებმა კულმინაციას ივნისის დასაწყისში მიაღწიოს. ბუნებრივია, ორი რევოლუცია, ორი აქცია, ერთმანეთის გადაფარვაა. ორ-ორი დღესასწაულები გვაქვს, მაგრამ ორ-ორი მიტინგები, ცოტა ზედმეტია....

— ***ე.ი. „თავისუფალი დემოკრატების" მოსაზრებას აქციების მეთოდის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით არ ეთანხმებით?***

— დაველოდოთ ყველაფერს, 21 მაისსაც დაველოდოთ, 26 მაისსაც და ერთად ჩამოვაყალიბოთ ჩვენი სტრატეგია.

— ***რატომ ხართ ასეთი პასიურები?***

— პასიურები კი არა, რეალისტები ვართ.

— ***რაც შეეხება ეროსი კიწმარიშვილის განცხადებას ოპოზიციური „რვიანის" მიმართ, ამაზე რას იტყვით?***

— ეს იყო თხოვნაშერეული შეფასება.

— ***ასე აღიქვით თქვენ?***

— თხოვნა იყო, მოდით, ხალხო, გვერდში დაგვიდექით, მარტო ვერაფერს ვაკეთებთო.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ხელისუფლება ბიზნესს სპობს

ნათია ხურცილავა

**პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ" სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაციის პროცესის ლობირებისთვის ემზადება. პარლამენტის ვიცე-სპიკერის პაატა დავითაიას პარტიამ უკვე მოამზადა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც მსუბუქი ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას მოითხოვს.**

პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონის" აღნიშნულ ინიციატივაზე სპეციალურ პრესკონფერენციაზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლიკა ნაღებაშვილმა ისაუბრა.

რატომ გადაწყვიტა საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება პოლიტიკურმა გაერთიანებამ?

— ხელისუფლების წარმომადგენლები საკმაოდ აქტიურად და სიამაყით აცხადებენ, რომ მსოფლიო რეიტინგებში საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა და მსოფლიო ქვეყნების ათეულში შედის. მინდა აღვნიშნო, რომ ეს მონაცემებიც დამახინჯებულია, ხელისუფლების მაღალჩინოსნები რეიტინგების მხოლოდ ზედაპირულ შეფასებას აკეთებენ. იმის წარმოჩენას ცდილობენ, რაც აწყობთ. ამ კვლევებში ბევრი კომპონენტია. საქართველო ერთ-ერთ კომპონენტში მართლაც მოწინავე ადგილზეა, თუმცა, ამ შემთხვევაში საუბარია არა ბიზნესის კეთებაზე და მის რენტაბელურობის მაღალ ხარისხზე საქართველოში, არამედ ბიზნესსაქმიანობის დასაწყებად აუცილებელი სარეგისტრაციო პროცედურების სიმარტივეზე. მარტივად რომ ავხსნა, მცირე დროში უპრობლემოდ შეგიძლია დაარეგისტრირო პირობითად შ.პ.ს. აი, ეს არის მხოლოდ ის, რითაც ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ რეგისტრირების სიმარტივე ბიზნესის განვითარებას და ბიზნესის კეთების სიმარტივეს არ ნიშნავს, — აცხადებს პარტიის წარმომადგენელი.

„ჩვენ თვითონის" წარმომადგენელი ლიკა ნაღებაშვილი აცხადებს, რომ საქართველოში ბიზნესის კეთება დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

— საქართველოში ბიზნესის კეთება რომ საკმაოდ დიდ რისკებთან არის, ამას საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები ადასტურებს. ამერიკის სავაჭრო პალატა გამუდმებით მოუწოდებს ხელისუფლებას, იყოს ლოიალური ბიზნესის მიმართ, რადგან პირველ რიგში სახელმწიფო ბიუჯეტისთვის არის მომგებიანი, მეტი გადამხდელი ჰყავდეს. ამას ემატება ინვესტიციების გადინება საქართველოდან და არა პირიქით. ამას არავინ არ უარყოფს, უბრალოდ არის რაღაცეები, რასაც არ ამბობენ. ამ ფონზე, როდესაც საგანგაშო პროგნოზები კეთდება, ჩამოდიან ინვესტორები და საქართველოში გლეხებისთვის ხელისუფლების მიერ ჩამორთმეულ მიწებს ყიდულობენ. ოკუპანტ რუსეთს კი უკანასკნელ ენერგორესურსებს ვაძლევთ. ბუნებრივია, როდესაც საქართველოში ადგილობრივი ბიზნესი დაცული არ არის, უცხოელისთვის, რომელსაც რისკფაქტორების მინიმუმამდე დაყვანის უნარჩვევები აქვს, საქართველოში ფულს რატომ დააბანდებს? ზედიზედ მეოთხე წელია, რაც საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა იკლებს. ძნელია ახალი ინვესტორების მოზიდვა, როცა უკმაყოფილო არიან ბაზარზე მოქმედი ბიზნესმენები. მეწარმეები ჩივიან, რომ საგადასახადო სისტემა იდეალურისგან ძალიან შორს არის. ხშირია ისეთი დისციპლინარული პროცედურები, როგორიცაა წინასწარი დაკავება, რაც არ არის გამართლებული დღევანდელი ბიზნესგარემოდან გამომდინარე. ჩვენი „პოლიტელიტა" სულ იმას გვიჩიჩინებს, გავალიბერალურეთ საგადასახადო კანონმდებლობაო, რომ ხელისუფლების პრიორიტეტი ბიზნესთან თანამშრომლობააო. დაახლოებით ერთი წლის წინ აამოქმედეს კიდეც საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტი, მაგრამ რა?! არც არაფერი. მივიღეთ ის, რაც მივიღეთ — აბსოლუტური ნული ლიბერალიზაციის სფეროში. რამდენჯერ გადავწერეთ საგადასახადო კოდექსი. 2011 წელს ახალი კოდექსით შევხვდით, მაგრამ კვლავაც ხდება კოდექსის გადაწერა, ცვლილებები. ვითომ ლიბერალური კოდექსი მახე გახდა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. თანაც ეს საკანონმდებლო არასტაბილურობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელია ბიზნესის განვითარებისთვის. აუცილებელია მთავრობამ ჩვენი ინიციატივა გაითვალისწინოს, — აღნიშნავს ნაღებაშვილი.

რას გულისხმობს „ჩვენ თვითონის" ინიციატივა, ამაზე შემდეგს აცხადებს პარტიის წარმომადგენელი:

— „ჩვენ თვითონ" გამოდის ინიციატივით, რომ 75 ათას ლარამდე ოდენობის საგადასახადო გადაცდომა ჩაითვალოს მსუბუქ ეკონომიკურ დანაშაულად და ამ ოდენობის გადასახადის დამალვის შემთხვევაში იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიმართ განხორციელდეს არა სისხლის სამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მიეცეს დანაშაულში მხილებულს ვადა, ეტაპობრივად და სრულად დაფაროს საგადასახადო დავალიანება დარიცხული ჯარიმებისა და საურავების ჩათვლით. ამის ნაცვლად კი გამკაცრდეს სასჯელი დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, — აღნიშნა ლიკა ნაღებაშვილმა.

ნაღებაშვილმა დღეს მოქმედი კანონმდებლობის ნორმები განმარტა.

— დღეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, კომპანიის თუ ფიზიკური პირის საბიუჯეტო დავალიანება ანუ საგადასახადო გადაცდომა თუ 25 ათას ლარზე მეტია. რა თქმა უნდა, სასჯელი კიდევ უფრო მკაცრდება, როდესაც საქმე გვაქვს განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის დამალვასთან. პირველი სანქცია, რასაც ამ დროს მიმართავენ, დაპატიმრებაა და ამგვარი ზეწოლის გზით თანხის გამოძალვა. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ გადასახადის დამალვა დაუსჯელი უნდა დარჩეს, თუმცა ჯერ დაუტოვე უფლება არაგადამხდელს, რომელმაც დანაშაული აღიარა, დაფაროს საბიუჯეტო დავალიანება და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენე მის მიმართ მძიმე სადამსჯელო სანქციები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოსა და არაგადამხდელს შორის უნდა ამოქმედდეს საკრედიტო ურთიერთობის მექანიზმი, რაც იმას ნიშნავს, რომ მეწარმეს, რომელსაც საგადასახადო დავალიანება აქვს, მიენიჭება პირობითად სახელმწიფოს დებიტორის სტატუსი და მიეცემა საშუალება, საბიუჯეტო დავალიანება შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ნაწილ-ნაწილ დაფაროს. ჩვენ მიერ ინიცირებული მსუბუქი ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია ხელს შეუწყობს ბიზნესს, შეინარჩუნოს საქმიანი რეპუტაცია, განვითარდეს და მომავალშიც გადაიხადოს გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზეც დადებითად აისახება, — განაცხადა „ჩვენ თვითონის" წარმომადგენელმა ლიკა ნაღებაშვილმა.



# ჩვენ ოპოზიციას არ ვლანძღავთ

დასაწყისი მე-5 გვერდზე

*— კიწმარიშვილმა „რვიანის“ მისამართით ლეღვის ფოთლების შეფასება გამოიყენა, ამ შეფასებამ არ გაგაღიზიანათ?*

— ეს უზრდელობაა. ლეღვის ფოთოლი ერთ ადგილს ფარავს, ერთ ადგილზეა დაკიდებული და თუ ვინმეს რამეზე დაკიდება უნდა, წავიდეს და დაეკიდოს, მე თავი გამანებოს. როდესაც მე ვთქვი, რომ ეს არის უზრდელობა და მსგავსი ტიპის განცხადებების გაკეთება არ შეიძლება, ბატონმა ეროსიმ მიპასუხა, რა იყო, მაგდენი არ გესმით, ბიბლიური მეტაფორააო. კი ბატონო, თუ ბიბლიური მეტაფორაა, ნიშნავს, რომ ბოდიში მოიხადა და სხვა რამე არ უგულისხმია.

*— თქვენ არ იცით ბიბლიური მეტაფორები?*

— იცით რა არის, ქართულ პოლიტიკაში ეს ბიბლიური მეტაფორა ერთხელ უკვე ითქვა და ჩხუბით და დავიდარაბით დასრულდა.

*— რომელ ჩხუბს გულისხმობთ?*

— წლების წინ მომხდარ ჩხუბს გიორგი ბარამიძესა და ნოდარ გრიგალაშვილს შორის. მას შემდეგ ეს მხოლოდ მეტაფორა არ არის. ეს გარკვეულწილად შეურაცხყოფად აღიქმება. ნაღდად არა ვარ ეროსი კიწმარიშვილის დონეზე დამსვლელი, რომ პასუხების გაცემა დავიწყო.

*— პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც „ქართული პარტიის“ ლიდერები „რვიანის“ მისამართით ასეთ შეფასებებს აკეთებენ. მათ შორის იყო ოქრუაშვილის გამონათქვამები ნაფტალინიან პოლიტიკოსებთან დაკავშირებით...*

— თუ რაიმეს თავი აქვთ, მოვიდნენ და აქციები დაიწყონ. თუ გვეძახიან, მოდით გვერდით დაგვიდექითო, რა, უჩვეულოდ ველარ იწყებენ აქციებს თუ რა არის? ასე გაუჭირდა, რომ მე მეძახის? თან მერაბიშვილის პარტიას გვეძახიან, თან გვეუბნებიან, მოდით გვერდში დაგვიდექითო. ვერ გავიგე, რა უნდათ.

*— ვერ ჩამოყალიბდნენ?*

— ეტყობა, ვერ ჩამოყალიბდნენ. ერთი თვის წინ, ბატონი სოზარ სუბარი „რვიანის“ ერთ-ერთ წარმომადგენელს ესაუბრებოდა და უთხრა, გარკვეული თავდაუსხმელობები გვქონდეს ერთმანეთთანო.

*— ვის ესაუბრა?*

— ოპოზიციური „რვიანის“ ერთ-ერთ წარმომადგენელს.

*— მერე რატომ არ გააფორმეს „თავდაუსხმელობის პაქტი“?*

— ვინ უნდა მოაწეროს ხელი? სოზარ სუბარი გვესაუბრა და ერთი კვირის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილი ლამის გაზეთიდან გადმოხტა, ისეთი ინტერვიუ მისცა „კვირის პალიტრას“.

*— ამის შემდეგ გიწოდათ ნაფტალინიანები ოქრუაშვილმა?*

— კი. ცოტა არასერიოზულია რაიმე შეთანხმება გააფორმო იმ გუნდათან, რომელსაც თვითონ არა აქვს ერთიანი პოზიცია. ერთი ხელს მოაწერს და მეორე სხვა რაიმეს იტყვის. იგივე იყო ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით. „ქართული პარტიის“ ერთი წარმომადგენელი გამოვიდა და განაცხადა, რომ მზად არის ბურჯანაძეს თანამშრომლობის ხელი გაუწოდოს, გამოვიდა ირაკლი ოქრუაშვილი და თქვა, ვისაც უნდა იმას გაუწოდოს ბარჯანაძემ ხელი, მე არ მაინტერესებსო. მე რასაც ვუყურებ, პარტიის შიგნით აქვთ სერიოზული პრობლემები. ამ პრობლემებით ესენი შორს ვერ გაფრინდებიან.

*— „ქართული პარტიის“ ლიდერების ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები იმის გამო ხომ არ ხდება, რომ ირაკლი ოქრუაშვილი პარიზშია და ქართულ სინამდვილეს მოწყვეტილი?*

— კი, ოქრუაშვილი პარიზშია და ქართულ სინამდვილეს მოწყვეტილია. ასევე დათქმებს აკეთებენ, „რვიანი“ კი არის, მაგრამ ქრისტიან-დემოკრატების გარდა, ჩვენ გამოგვრიცხავენ.

*— ესე იგი, თქვენ თანამშრომლობას არ გთავაზობენ?*

— არა. ხომ თქვეს, ქრისტიან-დემოკრატების გარდა ყველასთან ვისაუბრებთო. თუმცა, შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა ირაკლი ალასანიაზე ისეთი ეპითეტები გამოიყენა ქალწულობასთან დაკავშირებით, რომ ეჭვი მეპარება ირაკლი ალასანიას როდესმე გაუჩნდეს მასთან თანამშრომლობის სურვილი.

*— გამოდის, რომ „რვიანთან“ კი არა, ექვს პარტიასთან აპირებენ თანამშრომლობას?*

— მერე კიდევ ვიღაც აღმოჩნდება მათთვის მიუღებელი და ხუთიანი გახდება და ასე შემდეგ.

*— ოპოზიციაში ასეთი დაქსაქსულობა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ყველაფერი კარგად არ არის?*

— წარმოიდგინეთ, ახლა მიხეილ სააკაშვილი თავის სავარძელში ზის და უხარია. ხომ წარმოგიდგენიათ სააკაშვილის რეაქციები ამ ყველაფერზე. ცხოვრებაში არავისზე არაფერი შეურაცხმყოფელი არ მითქვამს. ნამდვილად ვერ წარმომიდგენია იმ მეტაფორებით ვისაუბრო, რაც ზოგიერთებისგან ისმის.

*— ეტყობა, მეტაფორები არ იცით?*

— ჩვენ იმაზე მეტი ვიცით, ვიდრე ჩვენს კოლეგებს ჰგონიათ. სხვათა შორის, ეს ჩვენ რეიტინგზეც აისახება. როდესაც ოქრუაშვილი ნაფტალიანიან პოლიტიკოსებზე საუბრობდა, ეს არის მე-20 საუკუნის ხედვა. როგორც თვითონ არკვევდა შევარდნაძის ხელისუფლებასთან ურთიერთობას, როგორც სააკაშვილის გუნდის წევრი, ახლა იგივე მეთოდით ცდილობს სააკაშვილის ხელისუფლებასთან ურთიერთობის გარკვევას. თუ გახსოვთ, სააკაშვილი როდესაც შევიდა ოპოზიციურ ფლანგზე, პირველ რიგში დაიწყო ოპოზიციის ლანძღვა-გინება, ლეიბორისტების და ახალი მემარჯვენეების. იგივე მეთოდებით ცდილობენ ურთიერთობას, მაგრამ ახლა 21-ე საუკუნეა.

*— „ქართული პარტიის“ მთავარი სამიზნე ქრისტიან-დემოკრატები არა ხართ?*

— ჩვენ ვერ ვიქნებით, იმიტომ, რომ რევოლუციურ მოედანზე გაფართოება უნდათ, სანამ ჩვენამდე მოვლენ, ჯერ ნინო ბურჯანაძის გუნდია და მის ხარჯზე უნდა გაფართოვდნენ. ქრისტიან-დემოკრატებმა და ოქრუაშვილმა რომ ვიპაექროთ, განსაკუთრებულ აზრს ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ ჩვენი ელექტორატული ნიშა სხვაგან არის და მათი — სხვაგან. სხვათა შორის, პიროვნულად არც ერთი პარტიის ლიდერს არ შევხებივართ, არც ბურჯანაძეს, არც ოქრუაშვილს, ყველას თავის გზა აქვს. მთავარია, ეს ქვეყანა თავზე არ დაგვექცეს. ვისაც რა უნდა, ის გააკეთოს, საბოლოო ჯამში ამომრჩეველი გადაწყვეტს. ერთმანეთს თავში აგურები რომ ვურტყათ, რა მოხდება? არაფერი. ყველამ თავის საქმე აკეთოს.

*— 21 მაისის აქციები რით დასრულდება?*

— საერთოდ, პროგნოზების გაკეთება უმადური საქმეა.

# კოკოითი მოსახლეობისგან იარაღის ამოღებას ითხოვს

## მის კონკურენტს ხალხის იმედი აქვს

თეა მარხვაი ე

**რაც უფრო ახლოვდება შემოდგომა, ცხინვალის რეგიონში ვითარება სულ უფრო იძაბება. აქაურება უკვე კარგა ხანია საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. ამის მიუხედავად, პრეზიდენტობის კანდიდატი არავის არ წამოუყენებია. მემკვიდრის დასახელებას არც ედუარდ კოკოითი ჩქარობს.**



ის მოსკოვიდან ელოდება დირექტივას. მოსკოვისგან ელოდებიან „დაბროს“ მისი მთავარი კონკურენტებიც. კრემლში ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ აქვთ მიღებული, ვის დაუჭირონ მხარი, კოკოითის ფრთას თუ მის მოწინააღმდეგეებს. ამას დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს, რადგანაც ორივე მხარეს პრორუსული ძალები დგანან.

18 აპრილს ცხინვალის ცენტრში სერიოზული ინციდენტი მოხდა, რომელიც კოკოითის მთავარ მოწინააღმდეგე ძამბოლატ თედეევთან არის დაკავშირებული. არსებული ინფორმაციით, ამ უკანასკნელმა შესაძლოა საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭიც იყაროს. ინციდენტის დროს სროლასაც ჰქონდა ადგილი. ამ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე კოკოითიმ ძალოვანებს მოსახლეობიდან იარაღის ამოღება მოსთხოვა.

ამ ინციდენტის შემდეგ კი კოკოითი ამას უკვე დაჟინებით ითხოვს. აქ არ გამორიცხავენ, რომ საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიდეს. სერიოზულ კონფლიქტს რუსი სამხედროები არ დაუშვებენ, მაგრამ რაღაც მაინც იქნება.

და ეს რაღაც რომ არ მოხდეს, ამიტომ კოკოითი დაჟინებით ითხოვს იარაღის ამოღებას. იარაღი აქ თითქმის ყველას აქვს, როგორც კოკოითის მომხრეებს, ასევე მის მოწინააღმდეგეებს. იარაღის ამოღების ახალი კამპანიის დაწყება ოპოზიციამ თავისებურად შეაფასა.

მათი თქმით, ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორების საბაბი გახდეს. მათგან განსხვავებით, იარაღის ამოღების პროცესს მიესალმება პრეზიდენტის მრჩეველი კოსტა ძუგაევი. ეს უკანასკნელი ერთი პერიოდი აქაური პარლამენტის სპიკერიც იყო. მისი თქმით, მოსახლეობაში უკანონო იარაღის ამოღება ყველა ნორმალურ ქვეყანაში ხდება.

ვიდრე ცხინვალში იარაღის ამოღების მეთოდებს ხვეწენ, კოკოითის კონკურენტები მოსკოვში საქმეს აწყობენ. განსაკუთრებით კოკოითის მთავარი მოწინააღმდეგე ძამბოლატ თედეევი აქტიურობს.

რუსულ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ის აქტიურად მართავს შეხვედრებს რუსეთის ხელისუფლებასთან. ის რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია თავისუფალ ჭიდაობაში და მას ბევრი გავლენიანი ნაცნობი ჰყავს.

თედეევი არ უარყოფს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ის რამდენჯერმე იმყოფებოდა. თუმცა ამტკიცებს, რომ იქ სულ სხვა თემებზე ისაუბრა. ამასთან ხაზგასმით ამბობს, რომ რუსეთის ნებართვის გარეშე პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას არ გადაწყვეტს.

სავარაუდოდ, ასევე რუსეთის ნებართვით მოხდება სხვა კანდიდატის შერჩევა. არ არის გამორიცხული, პრეზიდენტობისთვის რეზო ხუგაევის ანდა ოლეგ თეზიევის კანდიდატურა წამოაყენონ.

არჩევნები ნოემბრის თვეში ჩატარდება. 10 წლის წინ თედეევი საპრეზიდენტო არჩევნების დროს ასეთივე აქტიური იყო. სწორედ მისი და მისი ძმის იბრაგიმის კლანის წყალობით გახდა კოკოითი პრეზიდენტი. ეს კოკოითისაც არასდროს დაუმალავს. თედეევი ამ თემაზე ადრე ასე აქტიურად არ საუბრობდა, მაგრამ ახლა ჩვენი ოპოზიციონერებივით მოაღო პირი და ყოფილ მეგობარს ყველაფერი წამოაძახა.

— უბრალოდ ჰკითხეთ კოკოითის, სად იყო განთავსებული მისი პირველი საარჩევნო შტაბი. ეს იყო ცხინვალში, ჩემ მიერ დაარსებულ სპორტსკოლაში. სად ცხოვრობდა? ჩემს სახლში. რითი გადაადგილდებოდა? ამ ადამიანს არ ჰყავდა თავისი საკუთარი ავტომანქანა. ამომრჩეველთან შეხვედრაზე ფეხით ხომ არ ივლიდა? უბრალოდ ჰკითხეთ, რა ჰქვია მის უფროს ვაჟს. უფროს შვილს პირველი ქორწინებიდან. მას ძამბოლატი ჰქვია. ეს სახელი ჩემს პატივსაცემად დაარქვა, — ამბობს რუსულ მედიასთან საუბარში თედეევი.

ცნობისათვის, კოკოითის პირველი მეუღლე ქართველია. მას მარინა ჰქვია. ის დღეისათვის სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობს.

რუსულ გამოცემასთან საუბარში თედეევმა თავის ძმის სიკვდილზეც ისაუბრა. მან პირველად განაცხადა ღიად, რომ ამ მკვლელობაში კოკოითის ხელი არ ურევია. 2006 წლის ოქტომბერში ვლადიკავკაზში რესტორან „ალანდონში“ ჩაცხრილეს. მაშინვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ამ მკვლელობის უკან კოკოითი იდგა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მკვლელი გვარად კოკოევი იყო.

როგორც ამბობენ, მას ჩვენს ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობები ჰქონდა. სხვათა შორის, დიმა სანაკოევის ადგილზე მისი კანდიდატურა განიხილებოდა. ბოლო მომენტში მან უარი განაცხადა. სანაკოევი კი ჩვენს ხელისუფლებას მისმა ძმამ გააცნო.

— მე ის ჩემი ძმის მკვლელობაში არ დამიდანაშაულებია. ეს ხმები იმიტომ გაავრცელეს, რომ ერთმანეთთან დავეპირისპირებინეთ. მე ამის დამამტკიცებელი ფაქტები არა მაქვს, — აცხადებს ძმამომკვდარი თედეევი.

რუსულ გამოცემასთან საუბარში ის იმასაც იხსენებს, რატომ დაუჭირეს მხარი კოკოითის არჩევნებზე.

მისი ნაამბობიდან ირკვევა, რომ კოკოითი „ზაპასნოი“ კანდიდატურა იყო. ძირითადი კანდიდატი კი რეზო ხუგაევი იყო. ეს ადამიანი დღეს ვლადიკავკაზში ცხოვრობს. კოკოითისგან განსხვავებით, ის კაი კაცის სახელით სარგებლობს.

— 2001 წელს ჩვენ გვყავდა 2 კანდიდატი. მთავარი იყო რეზო ხუგაევი, სათადარიგო ვარიანტი იყო ედუარდ კოკოითი. რეზო ხუგაევის კანდიდატურა რეგისტრაციაში არ გაატარეს. ამიტომაც სათადარიგო ვარიანტზე გადავერთეთ, — იხსენებს კოკოითის გამპრეზიდენტებელი.

თავგასიებული კოკოითის გამო დიკები პრეზიდენტობის სხვა კანდიდატს ტკბილ და მურაბა ადამიანს, ლუდვიგ ჩიბიროვს გადაეკიდნენ, რომლის დედაც მათი მოგვარე იყო.

— გაპრეზიდენტებიდან 9 თვის შემდეგ, მან ყველა გაათავისუფლა სამსახურებიდან, ვინც კი მას ამ პოსტის მოპოვებაში დაეხმარა. ამის შემდეგ მე ის არ მინახავს, დღემდე არ ვიცი, რატომ მოიქცა ასე, — ამბობს ცოცხლად დარჩენილი დიკი.

ცხინვალში მომხდარი ინციდენტის საუბრისას ის ისევ პირველ ჩვენებას აწვება. ამბობს, რომ მას იარაღი არ ჰქონია. სამხრეთ ოსეთის პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმეც არ ადარდებს. ამბობს, რომ ცხინვალში მაშინ ჩავა, როცა ამას თავად ჩათვლის საჭიროდ.

მისი და მისი მეგობრების ვიზიტი წინასაარჩევნო კამპანიად შეფასდა. თედეევი ამას უარყოფს და არც იმას აკონკრეტებს, აპირებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

— ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ჩვენ ცხინვალში მშვიდობიანი მისიით ჩავედით. იქ კი იარაღით ხელში დაგვხვდნენ. ჩვენ იქ არც პოლიტიკური აგიტაცია გვიწარმოებია და არც პოლიტიკური განცხადებები გაგვიკეთებია, — ამბობს სამხრეთ ოსეთის მთავრობის მაგინებელი.

კანდიდატურის წამოყენების შემთხვევაში, ის შეიძლება რეგისტრაციაში არ გაატარონ. ადგილობრივი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება მარტო იმ მოქალაქეებს აქვთ, რომლებიც რესპუბლიკაში 10 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ.

ჯაბო ილიჩი კი უკვე კარგა ხანია, რაც რუსეთში ცხოვრობს. ბოლო 10 წელია ის რუსეთის ნაკრების მწვრთნელია და საკმაოდ დიდი წარმატებაც მოიპოვა, მაგრამ ახლა გამჩენი არ ასვენებს და პრეზიდენტობა მოუნდა. კრემლთან დაახლოებულს კონსტიტუციის ნორმებიც არ ადარდებს.

— პირველი არჩევნების დროს არც კოკოითის ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მას არ ჰქონდა სამხრეთ ოსეთის პასპორტი და არც 10 წლიან ცენზს აკმაყოფილებდა. მან სამხრეთ ოსეთის პასპორტი პირველი ტურის შემდეგ მიიღო. მეორე არჩევნების დროსაც დაარღვია კონსტიტუცია. იმ დროისთვის მას აქ ნაცხოვრები ჰქონდა 5 და არა 10 წელი, როგორც ამას კანონი მოთხოვს. თუ ერთისთვის შეიძლება, მეორისთვის რატომ არ შეიძლება? — კითხულობს პრეზიდენტობის სურვილით შეპყრობილი მწვრთნელი.

ის თითქმის დარწმუნებულია, რომ სამხრეთ ოსეთის ცესკოს რეგისტრაციაში მისი გატარება მოუწევს.

— ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული. აფხაზეთშიც ასე იყო. თავიდან არ უნდოდათ ბაღაფში აერჩიათ, მაგრამ ხალხმა მოინდომა და ის გახდა პრეზიდენტი. მე მართალია არა მაქვს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა. რამდენჯერმე მოვითხოვე პასპორტი, მაგრამ არ მაძლევენ. იმიტომ, რომ ეს პირადად პრეზიდენტის ბრძანებაა. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 99 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა. მინისტრებიც რუსეთიდან არიან. მაშ რატომ არ შეიძლება სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი რუსეთის მოქალაქე გახდეს, — კითხულობს თედეევი.

რუსეთისგან თანხმობა თუ ექნა, მას უპასპორტოდაც არ გაუჭირდება პრეზიდენტის პოსტის მოპოვება. მომხრეები ბლომად ჰყავს და არც მფარველები აკლია. ასე რომ, ახლა ჯერი რუსეთზეა. მოსკოვი კი ჯერჯერობით კასტინგს ატარებს.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ვეტერანებს მალე დააფასებენ

შორენა გონგლა ე

**ფაშიზმზე გამარჯვება მსოფლიომ წელს უკვე 66-ე აღნიშნა. მიუხედავად ვაშაძის მცდელობისა, 66-წლიანი ტრადიცია შეიცვალა, გუშინ, 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღე ვაკის პარკში ტრადიციული ზეიმით აღინიშნა. ვაშაძისთვის გაუგებარია თუ რატომ აღინიშნება ფაშიზმზე გამარჯვება 9 მაისს და რატომ არ უწყობს ამ „ელემენტარულ" საკითხში საქართველო ევროპას ფეხს. ტრადიციულად ვაშაძემ ამაშიც რუსეთი დაადანაშაულა. ვაშაძის ახალ იდეას კი ნინო ბურჯანაძემ განსხვავებული ახსნა მოუძებნა, ბურჯანაძე თვლის, რომ ამის მიზეზი ისტორიის არცოდნაა. ბურჯანაძემ ამ ყველაფერს ვაშაძის მხრიდან სპეკულაცია უწოდა.**

— მე მინდა ყველას მივულოცო ფაშიზმზე გამარჯვების დღე, 9 მაისი, იმ ვეტერანებს, ვინც ამ დღეს შეხვდა. მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა, რომ მომავალ 9 მაისს ისინი უკეთეს საქართველოში შეხვდნენ და უკეთესად დაფასებული იყვნენ თავიანთი წვლილისათვის. ჩვენ პატივს მივაგებთ იმ 300 ათასზე მეტ საქართველოს მოქალაქეს, რომლებმაც თავი დადეს ამ ბრძოლაში საკუთარი სამშობლოს გადასარჩენად და მსოფლიოს გადასარჩენად. ვინც ისტორია იცის და ვინც არ სპეკულირებს ამ ძალიან დიდი თარიღით, მან იცის, რომ გერმანიამ კაპიტულაციას ხელი მოაწერა და მარშალ ჟუკოვს ჩააბარა გერმანიის დროით 8 საათსა და 43 წუთზე, ხოლო გერმანიაში კაპიტულაციის აქტზე ხელის მოწერის დროს საქართველოში, ისევე როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, უკვე იყო 9 მაისი. ასე რომ, ეს არის სპეკულაცია და სირცხვილია, როდესაც უგუნური ხელისუფლება ასეთი თარიღებით სპეკულირებს. ევროპელებისთვის ეს იყო 8 მაისი, დროის სარტყელის გამო, გერმანიის აღმოსავლეთით ეს არის 9 მაისი. ასე რომ, ამ დღეს კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩვენს ვეტერანებს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ბურჯანაძემ ვეტერანებს ასევე უსურვა, რომ მომავალ წელს ვეტერანები ხელისუფლებისგან უფრო დაფასებულები ენახა. საინტერესოა, რა იგულისხმა ამაში ბურჯანაძემ, ხელისუფლება როგორც შეეძლო დაამცირა და დააკნინა ყველა კატეგორიის ვეტერანი, რისი წართმევაც შეიძლებოდა, ყვველაფერი წაართვა. ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ ვეტერანთა შესახებ კანონში არაერთი ცვლილება შევიდა, რაც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა არაერთხელ გააპროტესტეს, ჯანდაცვის სამინისტროსთან აქციები თვეების განმავლობაში იმართებოდა, ამ დროს კი სწორედ ის ნინო ბურჯანაძე, რომელიც გუშინ ვეტერანებს ნაირ-ნაირი სურვილებით ამკობდა, იმ დროს როდესაც ვეტერანთა შესახებ კანონში ცვლილებები შედიოდა და ვეტერანებს საარსებო კაპიკებს ართმევდნენ, ხელისუფლებაში იყო მოკალათებული და პროტესტის გრძნობა არც გასჩენია.

დღევანდელი ხელისუფლების მიერ ვეტერანი რომ შესაბამისად არ არის დაფასებული, ეს არახალია, როგორც ეტყობა, ვეტერანებს წირვას საბოლოოდ ჯანდაცვის ახალი მინისტრი გამოუყვანს; ვეტერანთა დეპარტამენტი უკვე გაუქმების პირასაა. მოკლედ, ქვეყანას, რომელსაც რაღაც-რაღაცებზე აქვს პრეტენზია, ვეტერანები მხოლოდ 9 მაისს და კიდევ არჩევნების წინ არ უნდა ახსენდებოდეს.

რაც შეეხება ვაშაძის გაოცებას 9 მაისთან დაკავშირებით, სიტუაციაში უკეთ გასარკვევად პატარა ექსკურსს გავაკეთებთ. კაცმა რომ თქვას, ვაშაძის გაურკვევლობა, თუ რატომ მიიჩნევა დასავლეთ ევროპაში გამარჯვების დღედ 8 მაისი და არ ემთხვევა ერთმანეთს რუსული და ევროპული გამარჯვების დღეები, პასუხი ასეთია: 1945 წლის 6 მაისს, რეიმსში ამერიკის სარდლობასთან მივიდა გერმანელი გენერალი იოდლი, რომელიც ადმირალ დენიცის მთავრობის წარმომადგენელი იყო. ფიურერის თვითმკვლელობის შემდეგ გერმანიის ლიდერად დენიცი დასახელდა. იოდლმა დენიცის სახელით ამერიკელებს შესთავაზა, 10 მაისს ხელი მოეწერათ გერმანიის კაპიტულაციისთვის. საუბარი იყო სახმელეთო, საზღვაო და საავიაციო კაპიტულაციაზე. გერმანელთა მტკიცებით, კაპიტულაციის ფაქტის ყველა გერმანულ ნაწილამდე მიტანას 4 დღე მაინც დასჭირდებოდა, სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად იყო. რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანელები აპირებდნენ, არმიის ნაწილები ჩეხოსლოვაკიიდან გამოეყვანათ, ისინი დასავლეთში გადაესროლათ, რათა საბჭოთა არმიას კი არა ამერიკელებს დანებებოდნენ. დასავლეთში მოკავშირეთა არმიის სარდალმა გენერალმა ეიზენჰაუერმა გამოიცნო გერმანელთა ეშმაკობა და არ მიიღო იოდლის წინადადება, ეიზენჰაუერმა იოდლის მოფიქრებისთვის სულ ნახევარი საათი მისცა და დაუყოვნებლივ დანებებისაკენ მოუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ გერმანელ ჯარისკაცებს მთელი სიმძაფრით დაატყდებოდა თავს ამერიკის და ბრიტანეთის საჯარისო ნაწილები.

ამის შემდეგ იოდლი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო და ნახევარსაათიანი ფიქრის შემდეგ დათანხმდა. ევროპული დროით, გერმანიის კაპიტულაციას ხელი 7 მაისს, ღამის 2 საათსა და 40 წუთზე მოეწერა. გერმანიის კაპიტულაციას ხელი მოაწერეს მოკავშირეთა მხრიდან გენერალმა ბადელსმიტმა და საბჭოთა კავშირის მხრიდან გენერალმა სუსლოპაროვმა. გერმანიის კაპიტულაცია ძალაში შევიდა 8 მაისს, 23 საათსა და 01 წუთზე. სწორედ ამიტომ დასავლეთ ევროპაში დღესასწაულობენ ფაშიზმზე გამარჯვებას 8 მაისს.

როდესაც ამერიკის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა სტალინს გერმანიის კაპიტულაციის შესახებ შეატყობინეს, გაბრაზებულმა სტალინმა აჩქარებისთვის სუსლოპაროვი დასაჯა. სტალინმა ბრძანება გასცა, მარშალ ჟუკოვს მიეღო საერთო კაპიტულაცია ბერლინში. იმის გამო, რომ გერმანიის დედაქალაქი მთლიანად დანგრეული იყო, გერმანიის კაპიტულაციის ცერემონია ბერლინის მახლობლად, კარლჰორსტში გაიმართა. გერმანიის მხრიდან კაპიტულაციას ხელი გენერალ-ფელდმარშალმა კეიტელმა და ავიაციისა და ფლოტის წარმომადგენლებმა, ანტიჰიტლერული კოალიციის სახელით გერმანიის კაპიტულაციას მარშალ ჟუკოვთან ერთად ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ჯერ საერთო ენა გამონახონ და მერე ხელისუფლება შეცვალონ

## რა რჩევას ა ლევს რადიკალებს ი იგური

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან**

***— ბატონო ზვიად, კუბლაშვილის განცხადებამ ეჭვები გააჩინა და დაბნეულობა შეიტანა საზოგადოებაში. იქნებ განმარტოთ, რას ნიშნავს ინდივიდუალური კონსულტაციები ოპოზიციონერ ლიდერებთან?***

— საქართველოში ჩამობრძანებული იყო ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე თინა ქეიდენაუ, რომელმაც რვა პარტიასთან შეხვედრისას განაცხადა, უმნიშვნელოვანესია, რომ რვა პარტიას საერთო პოლიტიკური პროექტი აქვს და პროექტის განხორციელებისთვის ერთი პოზიციით გამოდიან ხელისუფლების წინაშე. მან განაცხადა, რომ მხარდაჭერა რვიანის პოლიტიკურ პროცესს ამერიკული შეერთებული შტატების მხრიდან აქტიურად ექნება. ამის შემდეგ გამოდის პალიკო კუბლაშვილი და აცხადებს, რომ ისინი მზად არიან ინდივიდუალურ რეჟიმში მოელაპარაკონ ოპოზიციურ პარტიებს, რაც ცალსახად მიუთითებს იმას, რომ გაყავი და იბატონეს ცნობილი იმპერიული ფორმულა ძალიან მოსწონს სააკაშვილს და მათთვისაც სერიოზული პრობლემაა ის, რომ რვა პოლიტიკური ორგანიზაცია ერთობლივად აგრძელებს მუშაობას. რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ რვა პარტია არის ერთი პოზიციით, საარჩევნო კოდექსთან, საარჩევნო გარემოსთან მიმართებაში წარმოდგენილი და გავაგრძელებთ ჩვენს ერთობლივ მუშაობას. არ ვაპირებთ ჩვენ, რომ ცალ-ცალკე დაველაპარაკოთ ხელისუფლებას.

***— გამოდის, რომ რვიანმა უარი უთხრა ამ შეთავაზებაზე ხელისუფლებას?***

— ჩვენი პოზიცია მათ თავიდანვე იცოდნენ. უბრალოდ, საზოგადოების წინაშე კიდევ ერთხელ აფიქსირებენ მცდელობას, რომ მათ რვიანის დაყოფა უნდათ. ჩვენ შეთანხმებულები ვართ, რომ ყველანი ვიყოთ ერთ პოზიციაზე და ვართ ერთ პოზიციაზე დღესაც, გვაქვს პოლიტიკური კამპანიის ფორმირების პროცესი და ვიწყებთ პოლიტიკურ კამპანიას სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს არ მოიცავს მარტო მოსახლეობასთან შეხვედრებს, ეს მოიცავს საერთაშორისო თანამეგობრობასთან მუშაობის უფრო მეტად გააქტიურებას, პიარ ღონისძიებების უფრო სერიოზულად დაგეგმვას და საერთოდ სერიოზული კამპანიის ჩატარებას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის ახლა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხი. ვინაიდან საერთაშორისო მხარდაჭერა რვიანს უკვე სახეზე აქვს და მე ვერ დამისახელებთ თქვენ უცხოური და დასავლური სახელმწიფოების ასეთი ღია მხარდაჭერის ვერც ერთ ფაქტს საქართველოს უახლოეს ისტორიაში, როდესაც ოპოზიციური პროექტი არის ასე ცალმხრივად არა მარტო მოწონებული, არამედ ამ პროექტში ჩართულები არიან და ღიად საქმიანობენ დიპლომატიური კორპუსისა თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასევე მნიშვნელოვანია მეორე ფაქტორი, საკუთარი მოსახლეობის ინფორმირება და მათი გააქტიურება ამ პროცე-



სებთან დაკავშირებით და ჩვენ ამ მეორე კომპონენტის უკვე მოსაპოვებლად და მთლიანად შესათავსებლად პოლიტიკური სურათისა გვექნება შემდეგი რამდენიმე კვირა, რამდენიმე თვე, რა ვიცი, რამდენი ხანიც დასჭირდება. როდესაც რაღაც ნაგებობას აშენებ, გააჩნია რა ტემპით იმუშავებ, გააჩნია რა ხარისხით იმუშავებ და ასე შემდეგ, ძალიან ბევრი ფაქტორის მიხედვით არის ეს ყველაფერი. ჩვენც აქტიურად უნდა ვეცადოთ, რომ მოვიცვათ მთელი საქართველო, როდესაც მოვახერხებთ და საზოგადოების აქტიურ მხარდაჭერას უზრუნველვყოფთ, ასეთ შემთხვევაში უკვე ჩვენ შეგვეძლება პოლიტიკური სურათი მთლიანად შევქმნათ და ასეთ შემთხვევაში მე უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებას უკან დასახევ გზას აღარ დავუტოვებთ.

***— ამ რამდენიმე ხნის წინ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ისინი მაისის ბოლომდე აძლევენ ვადას ხელისუფლებას და როგორც კი მათგან უარს მიიღებენ მოლაპარაკებებზე, ისინი გადავლენ ახალ სამოქმედო გეგმაზე, რა გეგმაზეა საუბარი?***

— უნდა გითხრათ, რომ საერთოდ თარიღებს ჩვენ ნაკლებად ვასახელებთ. ჩვენ მიერ, რა თქმა უნდა, ნათქვამი იყო, რომ გონივრული ვადა ეს იყო მაისი, როდესაც მოლაპარაკებებს შეიძლება შედეგები მოყვეს. ამ გონივრულ ვადას ხელისუფლება არღვევს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მაისის შემდეგ უარს ვამბობთ იმაზე, რომ ხელისუფლება მოდის რაღაც დათმობაზე და ჩვენ ვეუბნებით — ახლა შენ უკვე დააგვიანე და ჩვენ ამისთვის მზად არა ვართ. ჩვენ ვიწყებთ პოლიტიკურ კამპანიას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება იტყვის, რომ მე ბიომეტრიაზე ვარ თანახმა, სისტემის შეცვლაზე ვარ თანახმა და მერე ჩვენ უარს ვეტყვით. ჩვენ უარს არ ვეტყვით არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ, ვინაიდან ჩვენ ხელისუფლებასთან ლაპარაკი ამ ეტაპზე დავასრულეთ, ახლა ვიწყებთ საკუთარ მოსახლეობასთან აქტიურ მუშაობას, მათი პროცესებში ჩართვის მიზნით.

***— აქციებში თუ ჩაერთვებით ეს თუ საჭირო გახდა?***

— ჩვენ არ გამოვრიცხავთ პოლიტიკური საქმიანობის არც ერთ ფორმატს. მინდა შეგახსენოთ, რომ ზვიად გამსახურდიამ 1990 წელს დაიწყო სწორედ ასეთი კუთხით საქმიანობა, რომ არჩევნების გზით შეეცვალა მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლება. იყო დიდი და სერიოზული თავდასხმები, მაშინდელ მრგვალ მაგიდაზე და პოლიტიკურ ლიდერებზე, მაგრამ დრომ გამოაჩინა, რომ თურმე საარჩევნო კოდექსის ცვლილებით შესაძლებელია, რომ საზოგადოებაც აქტიურად ჩართო, რომ კანონპროექტიც სერიოზული დადო და შემდეგ არჩევნებშიც გაიმარჯვო. ეს ყველაფერი კლასიკაა ქართული პოლიტიკური ცხოვრების, ჩვენ უახლოესი 20 წლის განმავლობაში ასეთი მაგალითი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უკვე გვაქვს და რაიმე ახალ ველოსიპედს ჩვენ არ ვიგონებთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თანმიმდევრული, სწორი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა და საერთოდ, პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა ქვეყანაში არის სავსებით რეალური და შესაძლებელი.

***— თქვენი ოპონენტები ოპოზიციიდან საკმაოდ მწვავე განცხადებებს აკეთებენ და აცხადებენ, რომ რვიანის ფორმატი უკვე დიდი ხანია გარდაიცვალა და რვიანში შემავალი პარტიები მას მორგში მალავსო...***

— ეს არის ყურადღების მიქცევის ერთი ფორმა, ვიღაცას მწარე სიტყვები უნდა უთხრა და ამითი აუცილებლად ყურადღებას მიიქცევ. სხვა დატვირთვას მე ასეთი ტიპის განცხადებებს ვერ მივცემ. მე უბრალოდ მინდა ვუთხრა ე.წ. რევოლუციურ პარტიებს, რომ დღეს არის 9 მაისი, დღეს ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია იწყებს თავის რევოლუციურ ქმედებებს, 21 მაისს იწყებს თავის რევოლუციურ საქმიანობას მეორე პოლიტიკური ორგანიზაცია და მე საერთოდ ვურჩევდი, ჩვენსკენ თითის გამოშვერას, ჩვენსკენ ხელის გამოშვერას, ერთმანეთს შორის მაინც მოეხდინათ შეთანხმება, ეს აჯობებდა. ვინაიდან ახლა ძალიან გაურკვეველი სიტუაციაა, ჯერ ეროსი კიწმარიშვილი ჩამოაგდებს სააკაშვილს და შემდეგ ეროსი კიწმარიშვილს 21 მაისს ჩამოაგდებს ნინო ბურჯანაძე, დაახლოებით ასეთი სურათი იხატება და არა მგონია, ეს მაინცდამაინც მათთვის ან საქართველოსთვის, ან აქციების მოსურნე საზოგადოებისთვის დიდად ხელისშემწყობი ფაქტორი იყოს. კეთილი ინებონ და ერთმანეთთან მაინც მონახონ საერთო ენა და რაც შეეხება ჩვენზე ჭკუის დარიგებას, ნუ შეიწუხებენ თავს, რადგან ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს, ჩვენი საქმე გვაქვს და ეს გეგმაც და საქმეც გაწერილი გვაქვს ქაღალდზეც, გაწერილი გვაქვს დროშიც და მივდივართ თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩვენი მიზნის მისაღწევად. რაც შეეხება ამ აქციებს, თვითონ ჩაატარონ ახლა ეს აქციები ჩვენმა კოლეგებმა და თვითონვე გაზომონ, რა რაოდენობის ხალხი უჭერთ მხარს, რამდენად გაბედულები და თანმიმდევრულები არიან თავიანთ ქმედებებში, რამდენად შეუძლიათ თავიანთ მიერ მიცემული დანაპირების შესრულება, რამდენად ორგანიზებულები არიან და საერთოდ რამდენად სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. ეს არის მათთვის ერთგვარი წესი, ისინი ფიქრობენ, რომ სავსებით საკმარისი ძალა აქვთ იმისათვის, რომ ხელისუფლება შეცვალონ საპროტესტო აქციების გზით. მე ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ამ საკითხებს, მაგრამ აქედან გამომდინარე მაინც არ გამიხარდება თუ ისინი ჩაფლავდებიან. ვინაიდან მათი ჩაფლავების შემთხვევაში, ერთადერთი ძალა, ვინც იხეირებს, ეს იქნება დღევანდელი ხელისუფლება და მიხეილ სააკაშვილი. ამიტომ თავიანთ საქმეებს უფრო მეტი დრო და ყურადღება დაუთმონ, რომ არ ჩაფლავდნენ, ეს იქნებოდა ჩემი რჩევა მათ მიმართ.

***— ქართულ ოპოზიციაში თარიღების დაანონსება დასწრებაზე ყოფილა...***

— იყო ასეთი პრეცედენტი რუსეთის ისტორიაში, როდესაც ჯერ მოხდა თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია და შემდეგ მოხდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ახლა ეტყობა მოხდება 9 მაისის ბურჟუაზიული რევოლუცია და შემდეგ 21 მაისს მოხდება სოციალისტური რევოლუცია. ძალიან რთულ მდგომარეობაში იყენებენ ჩვენი კოლეგები თავს, როდესაც ასეთი ტიპის დასწრებებზე არიან გადასულები. რვიანის კრიტიკა მათი მთავარი ფუნდამენტური ამოცანაა, მაგრამ ჩვენ, ამ კრიტიკის მიუხედავად, საკმაოდ მყარად ვდგავართ ჩვენს პოზიციაზე და ვიცით რა უნდა გავაკეთოთ. მათი ასეთი გაცხარებული განცხადებების შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ძალიან ძნელად წარმოუდგენიათ, რა აქვთ გასაკეთებელი. ეს ცუდი ამბავია, არ მომწონს, მე მეგონა, რომ უფრო სერიოზულად იყვნენ მომზადებულები საქმისთვის, რომელი საქმისთვისაც უკვე ამდენი ხანია გულზე მჯიღებს იბრახუნებენ.

***— ბურჯანაძე აცხადებს, რომ ისინი დაიწყებენ და საკმაოდ მოკლე ვადებში დაასრულებენ ამ ხელისუფლებას...***

— ქალბატონ ბურჯანაძესაც და ბატონ გაჩეჩილაძე-ოქრუაშვილ-კიწმარიშვილის ორგანიზაციასაც ერთი მნიშვნელოვანი პერსპექტივა აქვთ და მე ამ პერსპექტივას ასე ვუყურებ, რომ როცა რვა პოლიტიკური ორგანიზაცია მიაღწევს თავისი პროექტის ბოლომდე მიყვანას და შეძლებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, შემდეგ მათ მოუწევთ ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება და მაშინ ჩვენ ყველანი ერთად ვეცდებით, რომ მთლიანად ოპოზიციურმა შემადგენლობამ საქართველოს მომავალ პარლამენტში შეადგინოს უმრავლესობა. ალბათ საბოლოოდ მაინც აქამდე მივალთ და მინდა მათ ვუთხრა, რომ ისე ნუ იზამენ, შემდეგ, როდესაც ისინი არჩევნებზე წასვლის გადაწყვეტილებას მიიღებენ, ძალიან ბევრი მათ მიერ გამოთქმული შენიშვნის, კრიტიკისა თუ ლანძღვა-გინების უკან წაღება მოუწიოთ.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს აქციები არ იქნება შედეგის მომტანი?***

— მე ერთი რამე ვიცი, ანდაზა არის ასეთი, რომ მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.

შედით საიტზე atb.ge

# ნუგზარ კვაშალი ქორეოგრაფიაზე გადაერთო

ეკა ირემაშვილი

**ანსამბლ „ივერიის" წევრი, ცნობილი მომღერალი ნუგზარ კვაშალი ქორეოგრაფიაში გადაერთო და თანამოაზრეებთან ერთად საქართველოში პირველად ქორეოგრაფიულ ფესტივალს ატარებს.**

„ფოლკსტარი 2011" — ასე ეწოდება კონკურსს, რომელიც 10 მაისს დაიწყება და 12 ივნისს დიდ საკონცერტო დარბაზში გრანდიოზული გალა კონცერტით დასრულდება. ფესტივალის ორგანიზატორი მომღერალ ნუგზარ კვაშალთან ერთად საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირია.

ნუგზარ კვაშალის განცხადებით, ფესტივალის მიზანი, საქართველოს რეგიონებში არსებული ფოლკლორული ანსამბლების შემოქმედების პოპულარიზაციაა. კონკურსანტებს კომპეტენტური ჟიური შეაფასებს. დასკვნითი კონცერტისთვის შერჩეული ჟიურის წევრთა ვინაობა კონფიდენციალურია. ფესტივალის ფარგლებში ჩართული იქნება მობილური ესემეს ნომერი, რომლის საშუალებითაც გულშემატკივარს შეეძლება, თავისი ხმით ამა თუ იმ კოლექტივს გამარჯვებაში დაეხმაროს. კონკურსში მონაწილე ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები კი სხვადასხვა პრიზებით დაჯილდოვდებიან, რომელსაც ფესტივალის მხარდამჭერი ორგანიზაციები დააწესებენ.

რეგიონებში გამარჯვებული ანსამბლები 12 ივნისს თბილისში ჟიურისა და მაყურებლის წინაშე წარდგებიან. გამარჯვებული კი, საგასტროლო ტურით, საბერძნეთში გაემგზავრება.

**ნუგზარ კვაშალი, მომღერალი, კონკურსის ორგანიზატორი:**

— ფესტივალები საქართველოში ძალიან ბევრია, მაგრამ კონკურსი — ცოტა. თვითონ სიტყვა „კონკურსი" ნიშნავს შეჯიბრს. ჩვენს კონკურსში ერთი ანსამბლი უნდა შეეჯიბროს მეორეს და გამოვლინდეს ვინ უფრო კარგია. ამ სიტყვის ძალიან ეშინიათ არა მარტო ქორეოგრაფებს, არამედ ყველა იმ პედაგოგს, რომელიც ასწავლის ბავშვს ცეკვასა და სიმღერას, თან როცა ჟიური მკაცრია და მას უწევს მათი შრომის შეფასება.

***— რატომ დააარსეთ ეს კონკურსი?***

— ეს კონკურსი საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დახმარებით გაკეთდა. გვინდა, რომ ეს კონკურსი იყოს ყოველწლიური. საქართველოში ძალიან ბევრი ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლებია და მათ სჭირდებათ სტიმული იმისთვის, რომ უფრო მეტი გააკეთონ.



***— რამდენი ანსამბლია?***

— ამდენი ნამდვილად არ მეგონა, მაგრამ კულტურის სამინისტროში არის ინფორმაცია, რომ 2 ათასზე მეტია მათი რიცხვი. ნამდვილად ვიცი, რომ ბევრი ანსამბლია, იმიტომ, რომ თითქმის ყველა სკოლასთან არის ქორეოგრაფიული ჯგუფები. დღეს საქართველოში ყველა ბავშვი ცეკვავს, ყველა ბავშვს უნდა ილეთები ისწავლოს, კონცერტებზე პროფესიონალ მოცეკვავეებს რომ ნახულობენ, მათაც უნდათ დაეუფლონ ქართულ ცეკვას. ახლა მარტო ბავშვები კი არა, ჩემი მეგობრები ლიპიან მდგომარეობაშიც ცეკვავენ. ახლა ყველა ქართველს გავლილი აქვს ეს მომენტი, მაგრამ ჩვენს დროს ცოტა სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდათ ცეკვის მიმართ.

***— რა არის კონკურსის მიზანი?***

— გვინდა ეს კონკურსი იყოს ისეთი, რომ არ შეეშინდეს არც ერთ ქორეოგრაფს ამ კონკურსში მონაწილეობა იმიტომ, რომ თუ ის აიღებს მე-12 ადგილს, მას მშობელმა არ უნდა უთხრას, რომ რადგან ასეთ დაბალ ადგილს დაეუფლე, ჩემს შვილებს წავიყვან იმ ანსამბლში, რომელმაც მესამე ადგილი აიღოო. ასეთი რამის თქმა არ შეიძლება. ყველა ქორეგორაფიული ანსამბლი ემსახურება ქართული ცეკვის პოპულარიზაციას მოზარდებსა და ბავშვებში. ამ საქმეში 100 ათასზე მეტი ბავშვია ჩართული. ეს ბავშვები ხომ მოშორდნენ ქუჩას, ათას სისულელეებს, ქუჩურ გარჩევებს? ქართული ქორეოგარფიის დიდი სკოლა გვაქვს, მაგრამ არიან ქორეოგრაფები, რომლებსაც სიტყვა კონკურსის ეშინიათ.

***— ვინ არიან ჟიურიში?***

— ბატონი რეზო ჭანიშვილი — ქორეოგრაფიის კავშირის თავმჯდომარე და ომარ მხეიძე, რომელმაც საქართველოში ძეგლი დაუდგა ქართულ ცეკვას. ისინი საქართველოს რეგიონებში ჩავლენ და სხვადასხვა ანსამბლებს შეაფასებენ.

***— გამარჯვებულებს დააჯილდოვებთ?***

— აუცილებლად. ჩვენ გამარჯვებულებს დავაჯილდოვებთ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით.

***— როგორ შეარჩევთ საუკეთესოს?***

— ესემესების საშუალებით. ჯეოსტარში, ბრავოში და ნიჭიერშია ესემესები და ჩვენი კოკნურსიც ასე იქნება.

***— მხოლოდ თბილისის ანსამბლებს მოიცავთ?***

— არა, ჩვენ მთელ საქართველოს ქორეოგრაფიულ ანსამბლებს ვნახულობთ — კახეთში, სამეგრელოში, იმერეთში. აქედან საუკეთესო ანსამბლები ჩამოვლენ თბილისში და ერთმანეთს შეეჯიბრებიან თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში.

***— შეძელით საქართველოს ყველა რეგიონის მოვლა?***

— ვერა, იმიტომ, რომ პირველი კონკურსი ყოველთვის ძნელია. რასაც დავპირდით ყველა ანსამბლის წევრ ბავშვებს, აუცილებლად ავუსრულებთ. მათ არ ექნებათ ჩვეულებრივი ორლარიანი სიგელები და დიპლომები, მათ აუცილებლად გადავცემთ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებს. ასევე სხვა ფასიან საჩუქრებს, რომელიც დააწესეს სხვადასხვა კომპანიებმა. გვინდა, ჩვენი კონკურსი სხვანაირად ჩა-

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

# ეროვნულ არქივს 2000 საეკლესიო წიგნი გადაეცა

ეკა ირემაშვილი

**იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში დაცული საეკლესიო ჩანაწერების 2999-მდე წიგნი გადაეცა. მათ შორის უ ველესი ჩანაწერი 1739-იანი წლებით არის დათარიღებული.**

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი გაბრიელაშვილის ინფრომაციით, ეროვნულ არქივს გადაეცა ის საეკლესიო მეტრიკული წიგნები, რომელიც 100 წლის და უფრო ადრინდელია და, კანონის თანახმად, ეროვნულ არქივში უნდა ინახებოდეს.

— ეს დოკუმენტები მნიშვნელოვანია საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიის შესწავლისათვის. აქ არის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის, მათ შორის ცნობილი ადამიანების, დემოგრაფიული მონაცემები, ინფორმაცია დაბადების, ნათლობის, ჯვრისწერის, გარდაცვალების მიზეზების შესახებ, — აღნიშნა ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

გადაცემულ წიგნებს შორის არის სოფელ სხვიტორის მაცხოვრის ეკლესიის 1840-41 წლების წიგნი, სადაც არსებობს ჩანაწერი გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის დაბადებისა და ნათლობის თაობაზე. ასევე, საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის 1891-1893 წლების მეტრიკული ჩანაწერები, სადაც რეგისტრირებულია ცნობილი ქართველი პოეტის პაოლო იაშვილის დაბადება და ნათლობა.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების შექმნამდე, გასულ საუკუნეებში დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების ფაქტები შესაბამის რაიონში მოქმედ ეკლესიაში რეგისტრირდებოდა. ეროვნული არქივი საეკლესიო წიგნებს საარქივო წესით დაამუშავებს, დაზიანებულ წიგნებს ჩაუტარდება რესტავრაცია. საეკლესიო ჩანაწერები საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფონდის ნაწილი გახდება და ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული პირებისათვის.

ამ უნიკალური წიგნების მიღებამდე კი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა კერძო კოლექციონერისაგან 700 ცალი ფოტონეგატივი შეიძინა, სადაც ასახულია მეოცე საუკუნის 50-80-იანი წლებში საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესები. ფოტოებზე აღბეჭდილნი არიან ცნობილი მსახიობები, მუსიკოსები, მომღერლები, საქართველოში გასტროლებზე ჩამოსული თეატრების, ორკესტრების სპექტაკლები და კონცერტები.

კოლექციის პრეზენტაცია ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გამართა.

— კულტურის თემატიკაზე ფოტომასალა წლების განმავლობაში თავს იყრიდა არქივში. ახალშეძენილი ფოტოები მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ეროვნული არქივის ფოტოფონდს, — აღნიშნა თეონა იაშვილმა.

კოლექციაშია სცენები ქართული თეატრების სპექტაკლებიდან, ასევე, კულტურის მოღვაწეების მიხეილ თუმანიშვილის, დიმიტრი ალექსიძის, რევაზ ლაღიძის, ნუნუ დუღაშვილის, ელისო ვირსალაძის, ილიკო სუხიშვილის, ნინო რამიშვილის, სესილია თაყაიშვილის, მედეა ჯაფარიძის, არჩილ გომიაშვილის, სოფიკო ჭიაურელის, ვასო აბაშიძის, ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და სხვათა ფოტოები. აქვეა ოდისეი დიმიტრიადის პირველი გამოსვლა ოპერის

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

# ვეტერანებს მალე დააფასებენ

**დასაწყისი მე-7 გვერდზე**

ნებმა მოაწერეს ხელი. კაპიტულაციის ხელმოწერა 9 მაისს, მოსკოვის დროით 00 საათსა და 43 წუთზე მოხდა, ეს იყო გერმანიის მხრიდან კაპიტულაციის მეორეჯერ გამოცხადება. ასე რომ, როდესაც ვინმე ფრთიან იდეებს წამოისვრის და მით უმეტეს, როდესაც ეს იდეა სახელმწიფო მოხელეს ეკუთვნის და რომელიც შემდეგ ეს ყველაფერი ქილიკის საგანი ხდება, ურიგო არ იქნება, ჩვენი მაღალჩინოსნები მანამ იდეების გადმოსაფრქვევად პირს გააღებენ, ისტორიას გადაავლონ თვალი.


# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



# განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# ნუგზარ კვაშალი ქორეოგრაფიაზე გადაერთო

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ტარდეს. თუ დავაჯერე ბავშვები, ქორეორგრაფები და მშობლები, რომ ჩვენ ღირსეული ღონისძიების ავტორები ვართ, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება.

***— როგორ ჰქვია თქვენს კონკურსს?***

— ჩვენს კონკურსს „ფოლკსტარ საქართველო 2011“ ჰქვია, რაც ნიშნავს „ფოლკლორის ვარსკვლავი საქართველოსთვის“. თუ ყველაფერი კარგად იქნება, მაშინ მჯერა, რომ 2012-ში სამჯერ მეტი კოლექტივი მიიღებს ამ კონკურსში მონაწილეობას, ხოლო 2013-ში — ხუთჯერ მეტი.

***— რატომ დაარქვით „ფოლკსტარი“?***

— იმიტომ, რომ ფოლკლორში შედის სხვა მომენტებიც — იქ შედის მუსიკაც და სიმღერაც. ამჯერად მარტო ქორეოგრაფიას ვეხებით. ჯერ ვიწყებთ ქორეოგრაფიით, იმიტომ, რომ ის არის უფრო მეტი, ვიდრე სხვა დანარჩენი, რომელიც გააჩნია ქართულ ფოლკლორს.

***— ესემესებით მოგება რამდენად სამართლიანია მსგავს კონკურსებში?***

— ეს არ არის ესემეს მოგება. ესემეს ლიდერი, რომელიც ერთადერთი იქნება, გადადის ერთი ტურიდან მეორეში. ბოლოს ესემეს ლიდერი გაემგზავრება საბერძნეთში, სადაც სამ კონცერტს ჩაატარებს.

***— იდეა თქვენია?***

— დიახ. არ მინდოდა მხოლოდ კონკურსი დამერქმია, მინდოდა ფესტივალ-კონკურსი რქმეოდა, რომ ღონისძიების სახელწოდება დამერბილებინა. კონკურსი მართლა რთული სიტყვაა. ეს არის პირველი შემთხვევა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ქორეოგრაფიული კონკურსი ტარდება.

***— დასკვნით დღეს ჟიურიში ვინ იქნება?***

— თბილისის კონურსის ჟიურის შემადგენლობის თქმა არ შემიძლია, ეს კონფიდენციალურია, მაგრამ მარტო იმას გეტყვით, რომ იქ იჯდება ისეთი ჟიური, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საუკეთესო მოცეკვავეებით როგორც ძველი თაობიდან, ასევე ახალი თაობიდან, ქორეოგრაფებით და მხატვრებით, რომლებიც შეაფასებენ ანსამბლის ჩაცმულობას.

***— რამდენ ანსამბლს გადაიყვანთ ფინალში?***

— 25 ანსამბლი უნდა გადავიდეს ფინალში.

***— თქვენ არ ხართ მოცეკვავე და რატომ დაინტერესდით ამ სფეროთი?***

— თქვენც გაგიკვირდათ არა?! სად მე და სად ცეკვა! ამ კონკურსის ჩატარება იმიტომ მომინდა, რომ აქ დავინახე ხელოვნების საოცარი ძალა. ბავშვებთან სულ სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს როგორც მოცეკვავეებთან, ასევე მომღერლებთან და მუსიკოსებთან.

***— იქნებ იმიტომ ატარებთ ამ კონკურსს, რომ ბევრი სიმღერის კონკურსები ტარდება?***

— აბსოლუტურად გეთანხმებით. დღეს იმდენი კონკურსი და ფესტივალია სიმღერებში, მინდოდა ქართული ცეკვაც არ დაჩაგრულიყო. საქართველოს ქორეოგრაფიის კავშირში, რომელსაც ბატონი რეზო ჭანიშვილი ხელმძღვანელობს, მინდოდა ყველაფერი ისევ იმ დონეზე ყოფილიყო, როგორიც იყო წლების წინ. ძალიან მიყვარს ბატონი რეზო, უნიკალური ადამიანია, უწესიერესი, უპატიოსნესი და არაჩვეულებრივი პიროვნება და დიდი ქორეოგრაფი. მინდა ამ კავშირს ჰქონდეს იგივე სახელი და ისევ ისეთი სტატუსი, როგორიც ჰქონდა წლების წინ. მინდა იყოს დიდი ორგანიზაცია, სადაც გააკეთებენ კონკურსებსაც, ფესტვიალებსაც და თავისი ოფისიც ექნებათ.

***— შემდგომში სხვა მიმართულებითაც ჩაატარებთ კონკურსებს?***

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით, დღეს რამის თქმა მიჭირს. ეს არის პირველი კონკურსი და თუ მოვერევი, მომავალში ისევ სიამოვნებით ჩავატარებთ ამ ღონისძიებებს. დიდი სურვილი გვაქვს, სხვა მიმართულებებითაც ვიმუშავოთ. თუ დავანახე და დავარწმუნე საზოგადოება, რომ უნდა იყოს გაერთიანებული ერთ კავშირში ძალიან ლამაზი ანსამბლები, რომელიც ძალიან ბევრია და დიდი პოტენციალიც არსებობს ამ მიმართულებით, ჩათვალეთ, რომ ჩვენი მიზანი მიღწეულია.

***— მონაწილეთა ასაკი განსაზღვრული გაქვთ?***

— რა თქმა უნდა. ბავშვთა ანსამბლი იმიტომ ჰქვია, რომ ეს არის სკოლის ასაკი 6-დან 17 წლამდე, ანუ პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. ჩვენ გვქონდა საუბარი იმაზეც, რომ პირველკლასელ ბავშვს მეთორმეტე კლასელი აჯობებსო. ერთმა ქორეოგრაფმა თქვა, არ არსებობს, შეიძლება 8 წლის ბავშვებმა ისე იცეკვონ, რომ 17 წლის მოცეკვავეები საერთოდ აღარ გამოჩნდნენო. ამის მჯერა. ასე რომ, დაველოდოთ პირველ კონკურსს და ამ ღონისძიების მსვლელობას, რომელიც დაგვირგვინდება 12 ივნისს დიდ საკონცერტო დარბაზში. მერე ვნახოთ, რა იქნება. წინასწარ ვერ გეტყვით, მომავალ წელს ეს კონკურსი გაგრძელდება თუ არა. თუკი მასში მონაწილე ქორეოგარფები, ანსამბლის წევრები და მათი მშობლები დაინახავენ, რომ ჩვენ მართლა ვართ ღირსები ამ კონკურსს ჩავუდგეთ სათავეში და დავეხმაროთ და გვერდში დავუდგეთ ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს, გპირდებით, ამისთვის ძალას არ დავიშურებთ. თუ ამას მოვახერხებთ, ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება.

***— თქვენც ხომ არ გაგიჩნდათ ცეკვის სურვილი?***

— რატომაც არა?! თან ომარ მხეიძე დამპირდა, რომ რაღაც ორ ცეკვას მასწავლიდა. ჩემი ასაკის და ჩემი წონის კაცმა თუ კარგად იცეკვა, მაშინ ქორეოგრაფები საერთოდ დაიბოლმებიან და შეიძლება საერთოდ აღარ მიიღონ ამ კონკურსში მონაწილეობა. თუკი მომღერალი ჯუჯა ვიყავი, მოცეკვავე ჯუჯა რომ ვიყო, არ შეიძლება?! მე თუ ვიცეკვებ, ყველანაირი პრიზი მე უნდა მოვხსნა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ ყველა ანსამბლს წარმატებას ვუსურვებ.

## გორში ოთარ ჩხეიძის ქუჩა გაიხსნა

გორში ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, სახელოვანი მწერლის, ოთარ ჩხეიძის ქუჩა გაიხსნა.

ქუჩა, სადაც დაახლოებით ორმოცდაათი საცხოვრებელი სახლი დგას, ადრე სუვოროვის სახელს ატარებდა. მისთვის სახელის შეცვლის გადაწყვეტილება გორის საკრებულომ მიიღო.




როგორც ოთარ ჩხეიძის ქუჩის გახსნისას შიდა ქართლის გუბერნატორის პირველმა მოადგილე ზურაბ ჩხეიძემ და გორის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ხმალაძემ აღნიშნეს, მწერალმა განსაკუთრებული კვალი სწორედ გორის ცხოვრებაში დატოვა. ამიტომ ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისათვის მისი სახელის მინიჭება ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და საზოგადოების საერთო ინიციატივა იყო.

როგორც პროფესორმა შოთა ქურდაძემ განაცხადა, ოთარ ჩხეიძის სახელობის ქუჩა არამარტო გორში, არამედ ქვეყნის ყველა რაიონში უნდა იყოს, რადგან მწერლის „სალოცავი სრულიად საქართველო“ იყო. „ოთარ ჩხეიძე ერის უბედობას მთელი ენერგიითა და შემოქმედებით ებრძოდა და დიდი რეპრესიების მიუხედავად, ერთი გზით მიდიოდა. იგი გორის ინტელიგენციის მოძღვარი იყო“, — აღნიშნა შოთა ქურდაძემ.

გორის წინაშე მწერლის დიდი დამსახურების გამოსახატავად პოეტმა ჯემალ ინჯიამ საკუთარი ლექსის სტრიქონები მოიხმო:„ამ ქალაქს ისევ ნატერფალი ატყვია შენი, აქ ბევრ ქვაზე დევს, რაოდენი სიკეთეც ჰქმენი“.

საქართველოს ყოფილმა ელჩმა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პუბლიცისტმა ზურაბ მარშანიამ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაზე ისაუბრა, რომელიც, მისი შეფასებით, „მსოფლიოს საგანძურის ბრილიანტია“, განსაკუთრებით რომანი „ბორიაყი“, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოები, გამოჰყო. მან ხაზი მწერლის „ძარღვიან ქართულსაც“ გაუსვა, რომელიც შთამომავლობის აღიარებასაც შეინარჩუნებს.

მწერლის ვაჟმა, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, როგორ აღორძინა ოთარ ჩხეიძემ კულტურული ტრადიციები გორში.

„სწორედ ამისთვის ილვწოდნენ თავის დროზე გიორგი და ელიზბარ ერისთავები. კულტურული ტრადიციების აღორძინება ჯადოსნური კვერთხის დარტყმით არ მომხდარა. ოთარ ჩხეიძემ ამას დიდი ძალისხმევითა და ბრძოლებით მიაღწია“, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ. მან იმაზეც ისაუბრა, თუ როგორ იბრძოდა ოთარ ჩხეიძე თანამოკალმეებსა და თანადასელებთან ერთად ეროვნული სულის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად და როგორ სჯეროდა მწერალს, რომ საქართველო „რუსეთის განაპირა პროვინციად არ დარჩებოდა“.

მწერლის ქალიშვილმა ნატო ჩხეიძემ გორის ხელმძღვანელობასა და საზოგადოებას ოთარ ჩხეიძის ქუჩის გახსნისათვის მადლობა გადაუხადა.

„გორო, ქართლის შუაგულოო, ნათქვამია. ოთარ ჩხეიძისა და მისი შვილებისათვის გორი არა მხოლოდ ქართლის, არამედ სამყაროს შუაგული იყო. აქ, ამ მიწაზე მდგარი უყურებდა იგი თავის ქვეყანას“, — აღნიშნა ნატო ჩხეიძემ და დასძინა, რომ ასეთი ადამიანებისადმი მადლიერებასაც მთელი სამყარო გამოხატავს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ მეცნიერები და მწერლები: ელდარ მამისთვალიშვილი, ვანო ჩხიკვაძე, ზვიად კვარაცხელია, ნინო ვახანია, ჟუჟუნა ვაშაგაშვილი.

როგორც გორის უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი სოსიაშვილმა აღნიშნა, სასწავლებელში სამომავლოდ ოთარ ჩხეიძის სახელობის ლიტერატურის კაბინეტის გახსნა იგეგმება.

**მედიანიუსი**

## ეროვნულ არქივს 2000 საეკლესიო წიგნი გადაეცა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

თეატრის მთავარი დირიჟორის რანგში.

კულტურის მოღვაწეთა გარდა კოლექციაში წარმოდგენილია მეცნიერების ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ავლიპ ზურაბაშვილის ფოტოები. განსაკუთრებით საინტერესოა ფოტოკადრები, რომელიც ასახავს გასტროლებს: ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერის“ მომღერალი დორითი კირსტელი თბილისში, ბენი გუდმანის ხელმძღვანელობით ამერიკის ჯაზ-ორკესტრი თბილისში, სერგეი ობრაზცოვის თოჯინების თეატრი თბილისში.

კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორის გიორგი კაკაბაძის ინფორმაციით, ფოტოგანყოფილებაში ნეგატივები დამუშავდება, აღირიცხება, გადავა ელექტრონულ ფორმატში და მკვლევართა დარბაზის მეშვეობით ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის.

## სამგლოვიარო განცხადებები

### ომარ ბიძიშვილი

გასაოცარი მეგობრები გვყავდნენ. ყოველი მათგანი — ამაყი, ზნეკეთილი, ულალატო; ნორმა და ნამუსი კაცობისა, ვაჟკაცობისა, ერთგულებისა. მათი ყურადღების დამსახურება უკვე აღიარებას ნიშნავდა, კაცობის ემბაზში განბანვასა და გაკეთილშობილებას.

თორმეტნი ვიყავით. იუდა არა გვყოლია. სხვადასხვა დროს ჩაქრა ცხრა სიცოცხლე. ახლა, ომარმაც მიგვატოვა.

ომარ — ვინც ამ სახელის ეტიმოლოგია იცის, დაგვეთანხმება, რომ ჩვენი მეგობრის ნათლიას წინასწარ, ბრძნულად განუჭვრიტავს ომარ ბიძიშვილის ცხოვრებისეული მომავალი. ეს სიტყვა „სიცოცხლეს“ ნიშნავს და ომარიც ხომ სიცოცხლისა და კეთილშობილების სიმბოლო იყო. და განა მარტო ეს... ომარი იყო:

— დიდებული ოჯახის ღირსეული შვილი;
— სამაგალითო მეოჯახე და შეუდარებელი მასპინძელი;
— სხვაზე მოფიქრალი და მზრუნველი;
— ახლობლების პატივისმცემელი და გვერდში მდგომი;
— ულალატო მეგობარი და სამართლიანი ვაჟკაცი;
— კეთილშობილებით შეზავებული, ხალასი, რბილი იუმორით მოსაუბრე;
— ახლოვანი, სახიერი, შნოიანი და თვალსაჩინო.

უსათნოესი მანანა და ომარი — ქალაქში სინატიფით გამორჩეული ერთ-ერთი წყვილი, ჩვენი სამეგობროს მშვენებად აღიქმებოდა.

ხშირად ამბობდი: კაცურად ნაცხოვრები არ დაიტირებაო. დღეს შენი ნათქვამის პერიფრაზი გვინდა შემოგბედოთ:

*გლოვა-გოდების მოძულე, ასე განსჯიდა ომარი:*
*„კაცი არ დაიტირება, თუა სიკეთის მდომარი,*
*ნურც თქვენზე მგლოვი ენახოთ, ჩემზეც არ*
*მინდა მგლოვარი“.*

გლოვა არა, მაგრამ შენი არყოფნის სევდას თან ვატარებთ, სანამ სული გვიდგას. ეს სიყვარულით ნასაზრდოები სევდაა, რომელსაც დრო ვერასდროს გაანელებს და გააფერმკრთალებს.

...მერე კი, ყველა ერთად ვიქნებით იქ, სადაც არც სევდაა, არც უსამართლობა, არც ტკივილი, არც ავადმყოფობდა და არც სიკვდილი... იქ მარადიულობა, სიყვარული და სიხარულია... იქ უფალი დაგვიფარავს.

ვალმოხდილი, კაცურად ნაცხოვრები მიუხვალ შენს ძვირფას მშობლებს და კვლავ ერთად იქნებით, ბიძაშვილების ფუძე ოჯახი. ჩვენი მეგობრებიც მანდვე არიან... ნახვამდის, ძმაო...

„ღმერთო, მიეც მათ საუკუნო ხსენება“... ამინ!

**გივი ანჩაბა ე, გიზო ოთარაშვილი**

ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა და სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ასოციაციის გენერალურ მდივანს, ადვოკატ დავით ბერძენიშვილს გარდაეცვალა დედა

### ელენე ბასილაშვილი

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 12 მაისს, 14 საათზე.

მისამართი: საგარეჯო, 9 აპრილის ქუჩა, I ჩიხი, მეხუთე სახლი.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. უძველესი ქართული სამეფო; 3. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 4. კინოსურათის გადაღების სეპეციალისტი; 5. ლხინი, დროსტარება; 6. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 14. მათემატიკის ნაწილი; 15. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 16. მასმედიის ერთ-ერთი საშუალება; 17. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 19. პრივილეგიური მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 21. ფრანგი მწერალი; 22. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი.

**თარაზულად:** 1. წყნარი ოკეანესპირა კურორტი მექსიკაში; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული; 7. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 9. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 10. ოჯახის დედის სახელწოდება ძველად იტალიაში; 12. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 13. სასიამოვნო სურნელება; 16. მძიმეწონიანი ტვირთების გადასაზიდი მისაბმელიანი ავტომობილი; 17. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 18. აღმოსავლური ტკბილეული; 20. მეტროს სადგური თბილისში; 22. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 23. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 24. ზიარებისთვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი წითელი ღვინო; 25. საფოსტო ნიშანი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ბრაზილია; 6. დისპუტი; 8. ბალზამი; 10. დელეგატი; 11. ადლერი; 13. კბილანა; 16. ლილიფარა; 18. კვარი; 19. კარგო; 21. ფიქრია; 22. ტრაქტორი; 23. ნამიბია.

**შვეულად:** 1. არამზადა; 2. ალალი; 3. ისპანახი; 4. ვირთხა; 7. ემალი; 9. ირანი; 12. ინფორმაცია; 14. ნახირი; 15. ნიამორი; 17. ევრაზია; 20. პიურე.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პალაცო; 2. მაისი; 3. რადიო; 4. ალ; 5. ზი; 6. ნირვანა; 7. დიადემა; 8. ირონია; 9. მარადია; 10. ტუგრიკი; 11. ამარეტო; 12. აკა; 13. პორშე; 14. ნიასა; 15. ალი; 16. მეხიკო; 17. ვალსი; 18. ყეენი; 19. ბოკალი; 20. იქს; 21. ავიტამინოზი; 22. რკო; 23. მოკიკი; 24. კაჟი; 25. თითა; 26. ბებუთი; 27. ალათაუ; 28. მაჟალო; 29. მიკროსკოპული; 30. ჟამი; 31. იდო.

**სურათებზე:** ჟულიან პაესი; ოლივერ კანი.

# „ზესტაფონს“ ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დარჩა

**კოლხეთი — ზესტაფონი 1:4**

**ფოთი.** ფაზისის სტადიონი

0:1 გორგიაშვილი (49), 1:1 კვერენჩხილაძე (58), 1:2 კობახიძე (70), 1:3 დაუშვილი (78), 1:4 აფციაური (86)

**კოლხეთი:** ლ.ძაგანია, ინწკირველი, მეგრელიშვილი, გოგონაია, გელაჭეიშვილი (სამადაშვილი 75), გავაშელიშვილი, გვალია, ჯანაშია (სიჭინავა 38), პ.დათუნაიშვილი (წიქარიშვილი 85), კვერენჩხილაძე, მდივნიშვილი

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ბენაშვილი (დვალი 75), მ.კობახიძე, გ.ონიანი, გ.ფოფხაძე, დაუშვილი (წინამძღვრიშვილი 90), ალადაშვილი, შოთა გრიგალაშვილი (აფციაური 82), გორგიაშვილი, ბაბუნაშვილი, გელაშვილი

მოგებას ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — კოლხებს სახიფათო ზონიდან თავის დასაღწევად, ხოლო იმერლებს დიდი საჩემპიონო ნაბიჯის გადასადგმელად.

არადა, დასაწყისი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადდა. მართალია, კლასით სტუმრებს ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ ნაწვიმარ და ატალახებულ მინდორზე ამის გადაფარვა მონდომების ხარჯზე მოახერხეს. მეტიც, პირველი რეალური ხიფათი ფოთელებმა შექმნეს, როცა ლევან მდივნიშვილი კარგ პოზიციაში გაიყვანეს თანაგუნდელებმა, ფორვარდის დარტყმული ხარიხამ უკუაგდო. მალე უკვე კოლხები გადაურჩნენ გოლს — ძაგანიამ შოთა გრიგალაშვილის ახლოდან დარტყმული მოიგერია.ეს იყო და ეს — პირველ ტაიმში მეტი არაფერი მომხდარა, თუ ზესტაფონელთა მიერ ნიკა გელაშვილის წაქცევისთვის პენალტის მოთხოვნას არ ჩავთვლით.

სამაგიეროდ, მეორე ტაიმი, რომელიც ზესტაფონელთა უპირატესობით დაიწყო, უხვგოლიანი გამოდგა. საწყის წუთებში თორნიკე გორგიაშვილს ორჯერ მიეცა გატანის შანსი და მეორე ცდაზე მოახერხა. გოლამდე გელაშვილის დარტყმულიც უნდა გასულიყო, მაგრამ ბურთი ტალახმა კარის ხაზზე შეაჩერა.

ფოთელები არ შეუშინდნენ ჩამორჩენას და მალე გათანაბრებაც მოახერხეს — 59-ე წუთზე გიგა კვერენჩხილაძემ დათა სიჭინავას პასს თავი ისე დაუხვედრა, რომ კვასხვაძემ რეაგირება ვერ მოახერხა — 1:1.

ამის შემდეგ კი თანდათან იმერელთა უპირატესობა აშკარა გახდა და ბოლო ოც წუთში მათ სამჯერ იხეირეს. ჯერ კახა ალადაშვილის მიერ შესრულებული ჯარიმის შემდეგ მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთზე ყველას კობახიძემ დაასწრო, შემდეგ მეკარის ბაქანში დაუშვილმა ბოლომდე იბრძოლა და ძაგანიას მეორე ცდაზე გაუტანა, ხოლო ბოლოს შეცვლაზე შესულმა აფციაურმა ხარიხიდან ასხლეტილი ბურთი გოლად აქცია.

„ზესტაფონი“ მომდევნო ტურში შინ „დინამოს“ დაუხვდება და ამ მატჩში გადაწყდება დარჩება ინტრიგა თუ ახალი ჩემპიონი დაიბადება.

**ვიტ ჯორჯია — სპარტაკი 1:1**

**თბილისი.** სპორტკომპლექსი შატილი

0:1 დეკანოიძე (23), 1:1 ხურცილავა (81)

34-ე წუთზე მეტრეველმა (სპარტაკი) ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**ვიტ ჯორჯია:** ა.მიქაბერიძე, ხურცილავა, ადამაძე, გოგიაშვილი,



ღანიაშვილი, გურამ გურეშიძე, ვასაძე, ჯანელიძე (გიორგი გურეშიძე 60), ზაქრაძე (გაბრიჭიძე 69), კორიფაძე (კასრაძე 89), ჩიმაკაძე

**სპარტაკი:** გრიშიკაშვილი, ჭაფოძე, ფრიდოლინი, ბურძენაძე, მანჩხავა (სეფიაშვილი 84), კილასონია, მამუჩიშვილი, შონია, ჯაკობია (მ.ბარაბაძე 71), დეკანოიძე (კლოვისი 66), მეტრეველი

ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, გულშემატკივარი ყველა შეხვედრას ეჭვის თვალით უყურებს. მით უმეტეს, „ვიტ ჯორჯია“-“სპარტაკის“ გასულ წელს გამართული შეხვედრები უეფა-ს “შავ სიაში“ მოხვდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დაავალეს გამოძიება, თანაც არა ერთ კონკრეტულ მატჩზე, არამედ — 2-ზე. ეჭვი ეჭვად, თუმცა, დღეს “შატილზე“ მსგავსი არაფერი ჩანდა, მაგრამ არავინ იცის, „სპარტაკს“ რომ მოეგო, ეს ხმები ხელახლა აგორებულიყო — მათ ხომ მეტოქეზე მეტად სჭირდებოდათ 3 ქულა.

არადა, მოგებამდეც ბევრი არაფერი აკლდა — მხოლოდ 9 წუთი. თუმცა, 34-ე წუთზე ზვიად მეტრეველს პენალტი რომ გაეტანა, ვინძლო შინ 3 ქულით დაბრუნებულიყო. გუნდებმა მატჩი საკმაოდ ფრთხილად დაიწყეს და სპარტაკელთა გატანილი გოლი, ცოტა არ იყოს, კურიოზული გამოდგა: 23-ე წუთზე, “ვიტ ჯორჯიას“ მეკარე არდალიონ მიქაბერიძე უხეშად შეცდა, ბურთი პირდაპირ სტუმართა მოთამაშეს, ბესიკ დეკანოიძეს მიუვიდა, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა და ბურთი ვიტელთა მცველ გურამ ადამაძისგან ასხლეტით შევარდა კარში — 0:1.

წვიმიანი ამინდი იყო და გუნდებმა რამდენჯერმე გაცვალეს შორიდან დარტყმები, ხოლო 34-ე წუთზე, „სპარტაკმა“ პენალტი გააცუდა... ადამაძემ გურამ მამუჩიშვილი წააქცია, მეტრეველის თეთრი ნიშნულიდან დარტყმული კი, მიქაბერიძემ მოიგერია.შეტევა გაგრძელდა, თემურ შონია საჯარიმოს ხაზიდან ცდილობდა გატანას და ერთ-ერთ ვიტელს ხელში მოხვდა ბურთი — აშკარა პენალტი იყო, თუმცა, არბიტრმა თორნიკე გვანცელაძემ არ ჩასტვინა.

“სპარტაკი“ აშკარად აქტიურობდა და მე-60 წუთამდე სრულად აკონტროლებდა სიტუაციას. ის კი არა, მე-2 ტაიმის დასაწყისში თემურ შონიას იდეალური შანსი ჰქონდა ანგარიშის გაზრდისა — ზედ ცარიელი კარის წინ მიუვიდა ბურთი, თუმცა, უცებ ვერ გაერკვა სიტუაციაში და მომენტი თავადვე გაანიავა. შონიას მასპინძელთა ბესიკ ჩიმაკაძემაც “მიჰბაძა“ და მთლად ასეთი უეჭველი შანსი არ იყო, მაგრამ ზედ კარის წინ მდგომმა ვერ შეინარჩუნა ბურთი.

68-ე წუთზე, ისევ კორიფაძემ სცადა გატანა და გრიშიკაშვილი უძლური იყო, თუმცა, მეკარეობა მცველმა ლევან ჭაფოძემ იკისრა და ფეხით ცარიელი კარიდან გამოაგდო ბურთი.

“ვიტ ჯორჯიამ“ ტემპს უმატა, უპირატესობას დაეუფლა და 82-ე წუთზე გოლიც გაიტანა — ხანგრძლივ შეტევას დავით ხურცილავას მძლავრი დარტყმა მოჰყვა და 1:1.

**სამტრედია — დინამო 1:2**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი

1:0 ლომაშვილი (3), 1:1 ტატანაშვილი (80), 1:2 თომაშვილი (82)

**“სამტრედია“:** ჯინჭარაძე, ხუმარაშვილი, ჩხიკვაძე, დვალიშვილი, ლომაშვილი, გ.ბურჯანაძე (ხვადაგიანი 60), მიქაბერიძე, რუხაია (შენგელია 87), ენდელაძე, ცხადაია, ალავერდაშვილი (გოგიშვილი 81).

**“დინამო“:** ლორია, თომაშვილი, ჰომოლა, ხმალაძე, არზიანი, კვარაცხელია, რობერტინიო, ჯიუსი (კახელიშვილი 67), თექთურმანიძე (კვეკვესკირი 46), თ.ღონღაძე (ტატანაშვილი 60), ფანცხავა

ორი განსხვავებული ტაიმი. მე-4 წუთზე კარგად ითამაშა მიქაბერიძემ, რომელმაც ბურთისათვის იბრძოლა, მოიპოვა და ლომაშვილს გადააწოდა. ვაჟამ საჯარიმოს მისადგომებიდან არცთუ ძლიერად დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა, ასხლეტილი კი კარიდან ოდნავ წინ გამოსულ ლორიას ზურგზე მოხვდა და კარებში შეგორდა - 1:0.შეცვლებმა გაამართლა — მე-80 წუთზე კახელიშვილის ჩაწოდებულზე ყველას ტატანაშვილმა აჯობა და თავური დარტყმით წონასწორობა აღადგინა — 1:1.

“დინამომ“ გამარჯვების გოლიც მალე გაიტანა. საგოლე კომბინაციაში მონაწილეობა ისევ კახელიშვილმა მიიღო, რომლის ჩაწოდებულს ფანცხავა ვერ შეწვდა. ბურთს ხმალაძე დაეუფლა, რომელმაც ისევ ჩააწოდა “სამტრედიას“ საჯარიმოში, სადაც ფორვარდების დასახმარებლად ჩასულმა თომაშვილმა თავურით “დინამო“ წინ გაიყვანა — 1:2.

**ბაია — ოლიმპი 3:1**

**ზუგდიდი.** გულია თუთბერიძის სახელობის სტადიონი

1:0 ეხვაია (6), 1:1 გეწაძე (51), 2:1 ეხვაია (52), 3:1 ლომია (65).

მე-9 წუთზე მოდებაძემ (ოლიმპი) ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**ბაია:** სომხიშვილი, სვირავა, აფაქიძე, ნ.შონია, გამრეკლიძე, სიხარულია, ქობალია, ეხვაია (ჩანგელია 82), წურწუმია (სამუშია 73), შ.ლომია (ახალაია 80), ქვარცხავა

**ოლიმპი:** ბედიაშვილი, გეწაძე (ლ.სეთურიძე 85), ქავთარაძე, ქემოკლიძე, დ.ბოლქვაძე (აბურჯანია 71), გ.დ.რეხვიაშვილი, მურველაშვილი (ჯაფარიძე 62), მოდებაძე, პავლიაშვილი, დობროვოლსკი, კანდელაკი

კიდევ ერთი მარცხი განიცადა რუსთავის „ოლიმპმა“ და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვემოქართლელები მესამე ადგილს დასჯერდებიან. „ოლიმპი“ ზუგდიდში დამარცხდა „ბაიასთან“ — 1:3.

ანგარიში ირაკლი ეხვაიამ გახსნა, რომელიც რუსთაველმა რევაზ გეწაძემ პირველივე ტაიმში გაქვითა. მეორე ტაიმში კი იმავე ეხვაიამ და შოთა ლომიამ 2 უპასუხო გოლი გაუტანეს ქვემოქართლელებს.

**სიონი — ტორპედო 1:4**

**ბოლნისი.** თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი

1:0 ორბელაძე (19), 1:1 გოცირიძე (23), 1:2 გოცირიძე (59), 1:3 გოცირიძე (63), 1:4 კემუხტაშვილი (89)

**სიონი:** ზუხბაია, კობაური, სვანიძე, დიდავა, ორბელაძე, ლომაია, ნოზაძე, გ.გ.რეხვიაშვილი (ისიანი 64), გოგობერიშვილი, ჩირიკაშვილი (მ.ოქროპირიძე 65), ქუცურუა (შალამბერიძე 51).

**ტორპედო:** ქვილითაია, დ.ფოფხაძე, ს.თოდუა, ფარულავა, ჩიკვილაძე, გ.დათუნაიშვილი, დოლიძე, გ.სეთურიძე, თარხნიშვილი (დიღმელაშვილი 63), გოცირიძე (კემუხტაშვილი 85), საბანაძე (ქებაძე 70).

აქ თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ — გოლი სერგო ორბელაძემ გაიტანა. თუმცა, შემდეგ რევაზ გოცირიძის ჯერი დადგა, რომელმაც ჰეთ-ტრიკი შეასრულა, მეოთხე ბურთი კი ლაშა კემუხტაშვილის ანგარიშზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 33 | 22 | 6 | 5 | 64:17 | 72 |
| 2.დინამო | 33 | 19 | 9 | 5 | 51:20 | 66 |
| 3.ოლიმპი | 33 | 18 | 6 | 9 | 46:29 | 60 |
| 4.ტორპედო | 33 | 12 | 12 | 9 | 28:21 | 48 |
| 5.ვიტ ჯორჯია | 33 | 14 | 5 | 14 | 35:35 | 47 |
| 6.ბაია | 33 | 12 | 5 | 16 | 31:45 | 41 |
| 7.სიონი | 33 | 9 | 9 | 15 | 25:42 | 36 |
| 8.კოლხეთი | 33 | 8 | 9 | 16 | 22:46 | 33 |
| 9.სპარტაკი | 33 | 6 | 10 | 17 | 29:41 | 28 |
| 10.სამტრედია | 33 | 6 | 7 | 20 | 25:60 | 25 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 16 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) — 14, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 13, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) — 12, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 11

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ვესტ ბრომვიჩი ... 3:1
სტოკი-არსენალი ... 3:1
მანჩესტერი-ჩელსი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 36 | 22 | 10 | 4 | 73:34 | 76 |
| 2.ჩელსი | 36 | 21 | 7 | 8 | 67:30 | 70 |
| 3.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 69:39 | 67 |
| 4.სიტი | 36 | 18 | 9 | 9 | 54:33 | 63 |
| 5.ტოტენჰემი | 35 | 14 | 14 | 7 | 51:44 | 56 |
| 6.ლივერპული | 35 | 16 | 7 | 12 | 54:39 | 55 |
| 7.ევერტონი | 37 | 12 | 15 | 9 | 50:44 | 51 |
| 8.ბოლტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 49:50 | 46 |
| 9.ფულემი | 35 | 10 | 15 | 10 | 43:37 | 45 |
| 10.სტოკი | 35 | 13 | 6 | 16 | 46:44 | 45 |
| 11.ნიუკასლი | 36 | 11 | 11 | 14 | 51:52 | 44 |
| 12.სანდერლ. | 37 | 11 | 11 | 15 | 43:56 | 44 |
| 13.ვესტ ბრომ. | 36 | 11 | 10 | 15 | 52:68 | 43 |
| 14.ას. ვილა | 36 | 10 | 12 | 14 | 45:58 | 42 |
| 15.ბლექბერნი | 36 | 10 | 9 | 17 | 42:56 | 39 |
| 16.ბირმინგემი | 35 | 8 | 15 | 12 | 35:52 | 39 |
| 17.ვულვზი | 36 | 10 | 7 | 19 | 41:62 | 37 |
| 18.უიგანი | 35 | 7 | 15 | 13 | 36:56 | 36 |
| 19.ბლექპული | 36 | 9 | 9 | 18 | 49:71 | 36 |
| 20.ვესტ ჰემი | 36 | 7 | 12 | 17 | 41:64 | 33 |

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-პარმა ... 0:0
ბრეშა-კატანია ... 1:2
ინტერი-ფიორენტინა ... 3:1
კალიარი-ჩეზენა ... 0:2
ლეჩე-ნაპოლი ... 2:1
უდინეზე-ლაციო ... 2:1
ჯენოა-სამპდორია ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 36 | 23 | 9 | 4 | 61:23 | 78 |
| 2.ინტერი | 36 | 22 | 6 | 8 | 65:40 | 72 |
| 3.ნაპოლი | 36 | 21 | 5 | 10 | 56:36 | 68 |
| 4.უდინეზე | 36 | 19 | 5 | 13 | 63:43 | 62 |
| 5.ლაციო | 36 | 18 | 6 | 12 | 47:35 | 60 |
| 6.რომა | 36 | 17 | 9 | 10 | 55:49 | 60 |
| 7.იუვენტუსი | 35 | 15 | 11 | 9 | 53:42 | 56 |
| 8.პალერმო | 36 | 16 | 5 | 15 | 55:59 | 53 |
| 9.ფიორენტინა | 36 | 12 | 13 | 11 | 46:41 | 49 |
| 10.ჯენოა | 36 | 13 | 9 | 14 | 40:41 | 48 |
| 11.კალიარი | 36 | 12 | 8 | 16 | 42:46 | 44 |
| 12.კატანია | 36 | 11 | 10 | 15 | 37:48 | 43 |
| 13.კიევო | 35 | 10 | 12 | 13 | 33:35 | 42 |
| 14.პარმა | 36 | 10 | 12 | 14 | 37:46 | 42 |
| 15.ბოლონია | 36 | 11 | 11 | 14 | 34:47 | 41 |
| 16.ჩეზენა | 36 | 9 | 8 | 16 | 35:47 | 40 |
| 17.ლეჩე | 36 | 10 | 8 | 18 | 42:62 | 38 |
| 18.სამპდორია | 36 | 8 | 12 | 16 | 31:44 | 36 |
| 19.ბრეშა | 36 | 7 | 10 | 19 | 32:49 | 31 |
| 20.ბარი | 36 | 4 | 9 | 23 | 23:54 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

რეჯინა-ვარეზე ... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ვილიარეალი ... 0:0
ბარსელონა-ესპანიოლი ... 2:0
სარაგოსა-ოსასუნა ... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 35 | 29 | 4 | 291:19 | | 91 |
| 2.რეალი | 35 | 26 | 5 | 487:31 | | 83 |
| 3.ვალენსია | 35 | 20 | 6 | 960:42 | | 66 |
| 4.ვილიარეალი | 35 | 18 | 7 | 1053:40 | | 61 |
| 5.ბილბაო | 35 | 17 | 3 | 1555:51 | | 54 |
| 6.ატლეტიკო | 35 | 15 | 7 | 1355:47 | | 52 |
| 7.სევილია | 35 | 15 | 7 | 1354:55 | | 52 |
| 8.ესპანიოლი | 35 | 15 | 3 | 1742:49 | | 48 |
| 9.ხიხონი | 35 | 10 | 13 | 1233:39 | | 43 |
| 10.ლევანტე | 35 | 12 | 7 | 1639:49 | | 43 |
| 11.მალიორკა | 35 | 12 | 7 | 16 | 35:47 | 43 |
| 12.მალაგა | 35 | 12 | 6 | 17 | 50:64 | 42 |
| 13.ოსასუნა | 35 | 11 | 8 | 16 | 41:42 | 41 |
| 14.სოსიედადი | 35 | 13 | 2 | 20 | 45:61 | 41 |
| 15.ხეტაფე | 35 | 11 | 7 | 17 | 46:55 | 40 |
| 16.რასინგი | 35 | 11 | 10 | 14 | 37:51 | 40 |
| 17.სარაგოსა | 35 | 10 | 9 | 16 | 36:50 | 39 |
| 18.დეპორტივო | 35 | 9 | 12 | 14 | 29:44 | 39 |
| 19.ერკულესი | 35 | 9 | 6 | 20 | 32:56 | 33 |
| 20.ალმერია | 35 | 5 | 11 | 19 | 32:61 | 26 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კორდობა-ბეტისი ... 1:1
ტარაგონა-გრანადა ... 0:3

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-კარლსრუე ... 2:1
აუგსბურგი-ფრანკფურტი ... 2:1
აუე-ჰერტა ... 0:2
დუისბურგი-პადერბორნი ... 3:1
მიუნხენ 1860-ინგოლშტადი ... 1:1
ობერჰაუზენი-ფიურტი ... 1:4
ოსნაბრიუკი-ბოხუმი ... 1:3
უნიონი-კოტბუსი ... 4:2
ფორტუნა-ალემანია ... 3:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ვალანსიენი-რენი ... 2:0
ლიონი-მარსელი ... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 34 | 18 | 12 | 4 | 60:31 | 66 |
| 2.მარსელი | 34 | 17 | 11 | 6 | 53:33 | 62 |
| 3.პსჟ | 34 | 15 | 12 | 7 | 51:35 | 57 |
| 4.ლიონი | 34 | 16 | 11 | 7 | 58:35 | 59 |
| 5.რენი | 34 | 14 | 10 | 10 | 33:28 | 52 |
| 6.სოშო | 34 | 14 | 7 | 13 | 52:40 | 49 |
| 7.ლორიანი | 34 | 12 | 12 | 10 | 42:39 | 48 |
| 8.სტ.ეტიენი | 34 | 12 | 12 | 10 | 42:40 | 48 |
| 9.ბორდო | 34 | 10 | 15 | 9 | 40:39 | 45 |
| 10.მონპელიე | 34 | 11 | 11 | 12 | 29:37 | 44 |
| 11.ტულუზა | 34 | 12 | 7 | 15 | 34:35 | 43 |
| 12.ვალანსიენი | 34 | 9 | 15 | 10 | 40:37 | 42 |
| 13.ბრესტი | 34 | 10 | 12 | 12 | 34:37 | 42 |
| 14.ოსერი | 34 | 8 | 18 | 8 | 38:38 | 40 |
| 15.მონაკო | 34 | 8 | 16 | 10 | 34:34 | 40 |
| 16.კაენი | 34 | 10 | 10 | 14 | 41:48 | 40 |
| 17.ნიცა | 34 | 9 | 13 | 12 | 27:41 | 40 |
| 18.ნანსი | 34 | 10 | 8 | 16 | 32:46 | 38 |
| 19.ლანსი | 34 | 6 | 13 | 15 | 33:52 | 31 |
| 20.არლე | 34 | 1 | 11 | 22 | 16:64 | 14 |

**ჰოლანდია. თასი**

**ფინალი**

ტვენტე-აიაქსი ... 3:2(დდ)

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-ბრაგა ... 0:0
გიმარაეში-ბეირა მარი ... 1:0
ლეირია-ნავალი ... 1:0
ნაციონალი-ოლჰანენსე ... 0:1
პორტიმონენსე-მარიტიმუ ... 1:0
პორტუ-ფერეირა ... 3:3
რიუ ავე-ბენფიკა ... 1:2
სპორტინგი-სეტუბალი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 29 | 26 | 3 | 0 | 71:16 | 81 |
| 2.ბენფიკა | 29 | 20 | 2 | 7 | 58:28 | 62 |
| 3.ბრაგა | 29 | 13 | 7 | 9 | 45:32 | 46 |
| 4.სპორტინგი | 29 | 12 | 9 | 8 | 40:31 | 45 |
| 5.გიმარაეში | 29 | 11 | 7 | 11 | 33:37 | 40 |
| 6.ნაციონალი | 29 | 10 | 9 | 10 | 26:31 | 39 |
| 7.ფერეირა | 29 | 9 | 11 | 9 | 30:41 | 38 |
| 8.რიუ ავე | 29 | 10 | 7 | 12 | 33:31 | 37 |
| 9.მარიტიმუ | 29 | 9 | 8 | 12 | 33:30 | 35 |
| 10.ბეირა მარი | 29 | 8 | 11 | 10 | 33:34 | 35 |
| 11.ლეირია | 29 | 9 | 7 | 13 | 22:35 | 34 |
| 12.ოლჰანენსე | 29 | 7 | 12 | 10 | 22:32 | 33 |
| 13.სეტუბალი | 29 | 7 | 10 | 12 | 26:41 | 31 |
| 14.აკადემიკა | 29 | 7 | 9 | 13 | 31:43 | 30 |
| 15.ნავალი | 29 | 5 | 8 | 16 | 26:48 | 23 |
| 16.პორტიმორ. | 29 | 6 | 7 | 16 | 28:46 | 25 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სპარტაკი-ამკარი ... 1:2
რუბინი-კრასნოდარი ... 2:1
ზენიტი-ლოკომოტივი ... 1:1

# თურქი მესხები არაქართული წარმომავლობის არიან

გულიკო ბალა ე

**მომავალი წლიდან საქართველოში ე.წ. თურქი მესხების ჩამოსახლება დაიწყება. თურქი მესხების ჩამოსახლების თაობაზე აღებული ვალდებულება, საქართველოს ხელისუფლებას ევროსაბჭომ შეახსენა. ამ ინფორმაციას ეხმიანება ადამიანის უფლებათა დამცველი გიორგი თევზაძე და პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ ის ამ გადაწყვეტილებას მხარს არ უჭერს.**



საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულების თანახმად, თურქი მესხების ჩამოსახლება 2012 წლის დასაწყისიდან ეტაპობრივად უნდა დაიწყოს. გარდა ამისა, საუბარია დეპორტირებული „თურქი მესხების" სტატუსის განსაზღვრაზეც.

გიორგი თევზაძე დეპორტირებული თურქი მესხების ჩამოსახლებას გაუმართლებლად მიიჩნევს. მისი თქმით, ეს კაბალური ვალდებულებაა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ევროსაბჭომ აალებინა.

— თურქი მესხების ჩამოსახლების ვალდებულება სამართლებრივად გაუმართლებელი და ქვეყნისთვის კაბალური ვალდებულებაა. ფაქტობრივად, თურქი წარმომავლობის ადამიანების ჩამოსახლება კიდევ უფრო დაამძიმებს საქართველოში არსებულ გენოფონდს და, შესაბამისად, უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოში მცხოვრები ადამიანების სოციალურ პირობებზე, — მიაჩნია გიორგი თევზაძეს.

გიორგი თევზაძე ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს. მან უპასუხა ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილ ჩვენს კითხვებს.

კითხვაზე, თუ რატომ არ უჭერს მხარს საქართველოში ე.წ. თურქი მესხების ჩამოსახლებას და რატომ არ მიაჩნია გამართლებულად დღეს ე.წ. თურქი მესხების ეტაპობრივი ჩამოსახლება საქართველოში? გიორგი თევზაძემ განაცხადა:

— თურქები მესხები კომუნისტური ტერმინია, ფაქტობრივად, თურქი მესხები არ არსებობენ, ისინი იყვნენ წარმომავლობით ძირითადად თურქები და ცხოვრობდნენ საქართველოს რეგიონებში. საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ 1944 წელს, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო, საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიიდან მათი გასახლების გადაწყვეტილება მიიღო. მაშინდელმა ხელისუფლებამ საშიშროება დაინახა თურქული წარმოშობის ადამიანებში. იმ პერიოდში მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა გერმანიასთან, თურქეთი კი გერმანიის მოკავშირე ქვეყანას წარმოადგენდა. ამიტომაც თურქული წარმოშობის ადამიანები რუსეთისათვის საშიში და არასაიმედო იყო. თურქი მესხების საქართველოდან გასახლების გადაწყვეტილება, ერთპიროვნულად მიიღო საკავშირო ხელისუფლებამ საქართველოს ხელისუფლების შეთანხმების გარეშე. საინტერესოა, ევროსაბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომა. რატომ ავალდებულებენ საქართველოს საკავშირო ხელისუფლების ერთპიროვნულ გადაწყვეტილებების შედეგების ლიკვიდაციას მაშინ, როდესაც საქართველო იმ პერიოდში რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული. საკავშირო ხელისუფლება რეალურად ყველა გადაწყვეტილებას საქართველოს მარიონეტულ საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე ღებულობდა. ფაქტობრივად, მაშინდელი უშიშროების კომიტეტი საკავშირო უშიშროების მითითებით მოქმედებდა. 1944 წლის 15 ნოემბერს, ღამით, საბჭოთა ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოს რაგიონებში მკაცრად გასაიდუმლოებული და მასშტაბური ოპერაცია განახორციელა — მესხეთის ასეული სოფელი ერთ ღამეში დააცარიელა.ათეულობით ათასი ადამიანი სატვირთო მატარებლებით შუა აზიის გზას გაუყენეს იქ მცხოვრები იმდროინდელ ოფიციალური დოკუმენტებით თურქული წარმომავლობისა და ეროვნების პირები. 1944 წელს სულ საქართველოდან გაასახლეს 19 ათას 818 ოჯახი. მათ შორის, თურქი — 14 493, ქურთი — 1800, აზერბაიჯანელი — 358, იეზიდი — 7, თათრები — 126 ოჯახი. როგორც ხედავთ, აქედან არც ერთი არ არის ქართული წარმომავლობის, ხოლო მათ შორის, ვინც არ აღმოჩნდა თურქი წარმომავლობის, მიიღეს შესაბამისი კომპენსაცია და თავისუფალი საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

— ბატონო გიორგი, თქვენ რა ტერმინით მოიხსენიებთ იმ ადამიანებს? თქვენ ამბობთ, რომ იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში თურქებად არიან მოხსენიებული გასახლებული პირები, თქვენი აზრით, ისინი ქართველები არ იყვნენ?

— აღნიშნულთან დაკავშირებით აზრთა სხვაობა იყო როგორც მთლიანად ქართულ საზოგადოებაში, ასევე დეპორტირებულ საზოგადოებას შორის. ერთი ნაწილი თავს თვლიდა ქართველებად, მეორე ნაწილი — თურქებად და მესამე, ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს, რომელსაც ნაციონალური იდენტობა არ გააჩნდა, თავი კოსმოპოლიტად მიაჩნდა. მათთან დაკავშირებით ისტორიკოსების აზრი შუაზე გაიყო, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ხალხს ქართულ წარმომავლობასთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

— ქართველი ისტორიკოსების ნაწილი ამტკიცებს, რომ გასახლებულთა შორის ქართველებიც იყვნენ. სხვა საქმეა, დღეს ისინი თავს რომელ ეროვნებასთან აიგივებენ — თურქებთან თუ ქართველებთან, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მათი დაბრუნების შემთხვევაში.

— მე ისევ იმ პოზიციას ვაფიქსირებ, რომ მათი რეპატრიაცია ევალება რუსეთს და არა საქართველოს, რამეთუ ისინი არიან პასუხისმგებელი მათ წინაშე, როგორც მორალურად, ასევე სამართლებრივად. რაც შეეხება ინდივიდუალურ პიროვნებებს, ვინც ქართველად მიიჩნევს თავს, იცის ქართული ენა და პატივს სცემს ჩვენს ღირებულებებს, ეს ცალკე განხილვის თემაა.

— რატომ აიღო ვალდებულება საქართველოს ხელისუფლებამ დეპორტირებულთა რეპატრიაციაზე მაშინ, როდესაც ქვეყანაში 300 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი იყო და შემდეგ კიდევ დაემატა?

— საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული ვალდებულების მიღებისას არ გაითვალისწინა სახელმწიფოებრივი ინტერესი. ასევე ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველომ როდესაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მან, ფაქტობრივად, უარი თქვა საბჭოთა სამართალმემკვიდრეობაზე, ხოლო რუსეთი გამოაცხადა ოკუპანტ მხარედ, რითაც პასუხისმგებლობა მოიხსნა ყველა იმ ქმედებაზე, რაც განხორციელდა საბჭოთა წყობილების პირობებში კომუნისტური ხელისუფლების მიერ. კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, საქართველოს პუტჩისტურმა ხელისუფლებამ, რუსეთს ოკუპანტის სტატუსი მოუხსნა, რის შემდეგაც, საერთაშორისო ინსტიტუტებში თავის დამკვიდრების მიზნით, მაშინდელი საქართველოს ხელისუფლებამ ისეთი შეუსაბამო გადაწყვეტილებები მიიღო და ვალდებულებები აიღო, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ერის ინტერესებს.რევოლუციის შემდეგ, ევროსაბჭომ საქართველოს ხელისუფლებას შეახსენა ჯერ კიდევ 2000 წელს აღებული ვალდებულება თურქი მესხების ჩამოსახლებაზე, რაც მას არ გაუპროტესტებია. ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ამ ვალდებულებით ევროსაბჭოსაგან მხარდაჭერას მიიღებდა. ცხადია, ხელისუფლებამ არც ის ფაქტორი გაითვალისწინა, რომ ქვეყანაში თითქმის ნახევარი მილიონი იძულებით გადაადგილებული პირი ჰყავდა სახელმწიფოს.

— ცნობილია, რომ მათი ჩამოსახლება ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. მეორეც — ისინი მოითხოვენ კომპაქტურად ჩასახლებას და გარკვეული სტატუსის მინიჭებას. დღევანდელ რეალობაში ეს რამდენად გამართლებული იქნება?

— თურქი მესხები, ფაქტობრივად, არაქართული წარმომავლობის არიან, მათი ჩამოსახლება საქართველოს ნებისმიერ რეგიონში გაუმართლებელია და სამომავლო რისკის შემცველია, რადგან რუსეთი შეეცდება აღნიშნულ კონტინგენტში თავისი დასაყრდნი იპოვოს, რითაც შესაძლებელია მოახდინოს მომავალში ეთნოდაპირისპირების პროვოცირება, როგორც ამას დღეს ცდილობს ჯავახეთში. ვიმედოვნებ, რომ ეთნოდაპირისპირების პროვოცირება რუსეთს ჯავახეთში არ გამოუვა.

— მათი ჩამოსახლების შემთხვევაში, დადგება თუ არა მუსლიმანური სამლოცველოების აშენების საკითხი? რამდენადაც ვიცი, ჩამოსახლებული ოჯახები აცხადებენ, რომ მეჩეთების გახსნას აპირებენ.

— რა თქმა უნდა, ეს საკითხი დადგება. საქართველოში 300-ზე მეტი მეჩეთია აშენებული. ეს კი ადასტურებს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ერთი რელიგიური აღმსარებლობის ადამიანის უფლება არ ირღვევა. ეს საკითხიც თავისთავად დღის წესრიგში დადგება, რაც გასათვალისწინებელია. ამ საკითხზე აუცილებლად გასათავლისწინებელი იქნება ასევე საპატრიარქოს პოზიციაც.

— თქვენი აზრით, ადგილობრივი მოსახლეობა რა პოზიციას დაიკავებს?

— ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითი იქნება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ე.წ. თურქი მესხების ჩამოსახლება უარყოფით გავლენას მოახდენს ქართულ გენოფონდზე. მეორეც, ნებისმიერი ახალი წევრის მიღება ოჯახში უნდა ხდებოდეს ოჯახის ყველა წევრის თანხმობით. ამრიგად, უპრიანი იქნება, მოვითხოვოთ რეფერენდუმის ჩატარება ე.წ. თურქი მესხების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით, სადაც მოსახლეობა თავის ნებას გამოხატავს. ვფიქრობ, ჯავახეთის ქართულ და სომხურ მოსახლეობას უარყოფითი დამოკიდებულება ექნება იქ ე.წ. თურქი მესხების კომპაქტურად ჩასახლებაზე. მაგრამ ვიმედოვნებ ხელისუფლება საბოლოოდ მიიღებს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მართებულ გადაწყვეტილებას და უარს განაცხადებს ე.წ. თურქი მესხების საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებაზე.

## შედეგები

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 8 | 4 | 3 | 1 | 12:7 | 15 |
| 2.ყუბანი | 8 | 5 | 0 | 3 | 10:7 | 15 |
| 3.ანჟი | 8 | 4 | 3 | 1 | 8:6 | 15 |
| 4.ლოკომოტ. | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 14 |
| 5.ცსკა | 7 | 3 | 3 | 1 | 12:5 | 12 |
| 6.რუბინი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| 7.დინამო | 8 | 3 | 3 | 2 | 13:13 | 12 |
| 8.კრასნოდარი | 8 | 2 | 4 | 2 | 6:7 | 10 |
| 9.სპარტაკი | 8 | 3 | 1 | 4 | 6:11 | 10 |
| 10.ვოლგა | 8 | 3 | 0 | 5 | 9:7 | 9 |
| 11.როსტოვი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:8 | 9 |
| 12.ტომი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:9 | 9 |
| 13.ტერეკი | 8 | 2 | 2 | 4 | 4:6 | 8 |
| 14.ამკარი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | 8 |
| 15.კრ.სოვეტ. | 7 | 1 | 4 | 2 | 5:8 | 7 |
| 16.ნალჩიკი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:10 | 6 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-სელტიკი ........................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 36 | 28 | 3 | 5 | 81:28 | 87 |
| 2.სელტიკი | 36 | 27 | 5 | 4 | 78:22 | 86 |
| 3.ჰართსი | 36 | 18 | 9 | 9 | 52:40 | 63 |
| 4.დანდი | 36 | 16 | 10 | 10 | 53:47 | 58 |
| 5.კილმანროკი | 36 | 13 | 9 | 14 | 51:48 | 48 |
| 6.მოზერველი | 36 | 13 | 6 | 17 | 39:55 | 45 |
| ---------------------------- | | | | | | |
| 7.ინვერნესი | 36 | 12 | 11 | 13 | 48:43 | 47 |
| 8.სტ.ჯონსონი | 36 | 10 | 10 | 16 | 22:43 | 40 |
| 9.ჰიბერნიანი | 36 | 10 | 7 | 19 | 38:56 | 37 |
| 10.აბერდინი | 36 | 10 | 5 | 21 | 36:57 | 35 |
| 11.სტ.მირენი | 36 | 7 | 8 | 21 | 32:57 | 29 |
| 12.ჰამილტონი | 36 | 4 | 11 | 20 | 23:56 | 26 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-შტურმი ........................ 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ციურიხი ........................ 2:2
ბაზელი-ბელინცონა ........................ 2:0

**საბერძნეთი. სუპ ერლიგა**

**პლეი-ოფი**

პაოკი-პანათინაიკოსი ........................ 2:1
აეკი-ოლიმპიაკოსი(ვ) ........................ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ქონია ........................ 2:1
ბუკა-ტრაბზონი ........................ 1:2
ქარაბუქი-ფენერბახჩე ........................ 0:1
სივასი-ანკარაგიუჯიუ ........................ 1:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბოჰემიანსი 1905-სიგმა ........................ 2:1
ჰრადეც კრალოვე-ტეპლიცე ........................ 0:0
უსტი-პრჟიბრჟამი ........................ 0:3
ბუდეოვიცე-სლავია ........................ 1:1
იაბლონეცი-ბანიკი ........................ 3:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეჩნა-ვისლა ........................ 0:3
ბელხატოვი-არკა ........................ 1:1

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

სევასტოპოლი-ობოლონი ........................ 3:1
ვოლინი-მეტალისტი ........................ 1:4
ილიჩევეცი-ტავრია ........................ 5:1

**დანია. სასლიგა**

რანდერსი-ჰორსენსი ........................ 1:0
ოდენსე-სილკებორგი ........................ 0:0
ესბიერგი-ნორდსიელანდი ........................ 2:0
ბრონდბიუ-კოპენჰაგენი ........................ 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

მიალბი-ტრელებორგი ........................ 0:1
სირიანსკა-მალმიო ........................ 0:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ოდ გრელანდი-სარპსბორგი ........................ 1:0
სტარტი-ალესუნდი ........................ 2:3
სტრომგოდსეტი-ტრომსო ........................ 1:1
ჰაუგესუნდი-სტაბეკი ........................ 3:4
მიოლდე-რუსენბორგი ........................ 0:2

**არგენტინა. კლაუსურა**

ლანუსი-ესტუდიანტესი ........................ 0:0
არხენტინოსი-ბოკა ........................ 0:2
რივერ პლეიტი-ოლ ბაოიზი ........................ 0:2
ინდეპენდიენტე-სან ლორენცო ........................ 1:1

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალები 4 მოგებამდე**

დალასი-ლეიკერსი ........................ 122:86
სერიის ანგარიში ........................ 4:0
ატლანტა-ჩიკაგო ........................ 100:88
*ზაზა ფაჩულია: 5 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი*
სერიის ანგარიში ........................ 2:2

**ევროლიგა. ოთხთა ფინალი**

მონტეპასკი-რეალი ........................ 80:62
პანათინაიკოსი-მაქაბი ........................ 78:70

**ჩოგბურთი**

**ატპ. მადრიდ. თიხა**

**ფინალი**

ნადალი-ჯოკოვიჩი ........................ 5:7;4:6

**ატპ. რომი. თიხა**

გასკე-მონტანესი ........................ 6:2;6:3
დე ბაკერი-ვოლანდრი ........................ 1:6;2:6
მაიერი-გოლუბევი ........................ 6:4;6:3
მონაკო-სეპი ........................ 6:1;4:6;6:2
იუჟნი-კოლშრაიბერი ........................ 4:6;2:6
ვერდასკო-რაონიჩი ........................ 6:4;6:4

**ვტა. მადრიდ. თიხა**

**ფინალი**

აზარენკო-კვიტოვა ........................ 6:7;4:6

**ვტა. რომი. თიხა**

კერბერი-ლეპჩენკო ........................ 0:6;6:4;2:6
სჰეპერსი-გოინია ........................ 7:5;6:0
მედინა გარიგესი-კნაპი ........................ 6:4;6:2
პარა სანტონია-პოუს ტიო ........................ 6:3;7:5
მაკხეილი-უოტსონი ........................ 2:6;6:1;6:3
რაზანო-პაჩეკი ........................ 2:6;6:3;3:6
ჰერცოგი-ლიაგოსტერა ........................ 6:1;7:6
ჩჟენი-როდიონოვა ან. ........................ 6:3;2:6;5:7

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალი 4 მოგებამდე**

სან ხოსე-დეტროიტი ........................ 3:4
სერიის ანგარიში ........................ 3:2

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

ჩეხეთი-რუსეთი ........................ 3:2
შვედეთი-შვეიცარია ........................ 2:0
ლატვია-ავსტრია ........................ 4:1
სლოვენია-ბელარუსი ........................ 1:7

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## TV პროგრამა

**სამშაბათი 10 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო – ერვონული გამოცდები **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 03.15** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ევროვიზია **2011**. პირველი ნახევარფინალი. **01.00** მხ. ფილმი **"მხოლოდ შენ"** (სუბტ.) **00.40** მოამბე **04.15** აუდიტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფ. **"რაინდის ამბავი"** **01.00** მხ. ფ. **"შიშის ოთახი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.25** მხ. ფილმი **"მინდა გახსოვდე"** (**12**) (რ. პატინსონი) (სუბტ.) **03.25** მხ. ფილმი **"მოგზაური"** (**18**) (დ. არკეტი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.50, 19.30** სერ. **"სალომეა"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** მოკ. ფილმი "ცაბუნია" **10.50** დოკ. ფ. "ახალმოწამე" **11.30** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ღიმილის ბიჭები"** **13.45** კონცერტი – მ. სეფაშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფ. **"აკაკის აკვანი"** **16.50** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.15** დოკ. ფილმი "ჯიხეთი – დედათა მონასტერი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" მე-**2**ნ. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.10** მხ. ფილმი **"ბრავო ალბერ ლოლიშ"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** დოკ. ფილმი "კინო და წლები" **1**-ლი ნ.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**10 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6766

ევრო —2,4901

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672

რუსული რუბლი — 0,0612

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-21, ღამით — §-12

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15-21, ღამით — 7-19

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — 1-19

## ამინდის პროგნოზი 10 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## მომხიბლავი კოსტენიუკი თბილისმა მოხიბლა

6 მაისს თბილისში დაიწყო ევროპის ქალთა ინდივიდუალური ჩემპიონატი ჭადრაკში. მასში მონაწილეობენ მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეები, მათ შორის მსოფლიოს მე-12 ჩემპიონი, რუსი ალექსანდრა კოსტენიუკი, რომელიც საქართველოს დედაქალაქს ჩემპიონატის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე ესტუმრა.



— ეს არის ჩემი პირველი ვიზიტი საქართველოში და სადაც ჯერ მხოლოდ ერთი დაუვიწყარი დღე გავატარე, — ამ სიტყვებით იწყება ალექსანდრას პოსტი საკუთარ ბლოგზე (ჩიზქუინ.კომ). გთავაზობთ მცირე ნაწყვეტებს მისი შთაბეჭდილებებიდან, რომელიც ჩემპიონატის დაწყებამდე გამოაქვეყნა.

— თბილისის დათვალიერება მე იმით დავიწყე, რომ სასტუმროსთან ახლოს მდებარე „300 არაგველის“ მეტროში ჩავედი და მეტროსადგურ „თავისუფლებაზე“ ამოვედი. იმის გათვალისწინებით, რომ მე წინასწარ არ მქონდა გადაწყვეტილი, სად უნდა წავსულიყავი, უბრალოდ, გზას გავუყევი... თავისუფლების მოედნიდან, მთაზე მე შევამჩნიე ქალის ქანდაკება და გადავწყვიტე, ახლოს მივსულიყავი მონუმენტთან, რათა გადამეღო ფოტოსურათები... მონუმენტამდე მიმავალ გზაზე მე დავინახე ბევრი ლამაზი და ძველი შენობა, მოვინახულე მე-5 საუკუნეში აგებული ბეთლემის ეკლესია, ეკლესიიდან ფეხით გავუყევი კიბეებს და ქართლის დედის მონუმენტთან აღმოვჩნდი... ძალიან მიხარია, რომ ამ ჩემპიონატს თბილისზე დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ვიწყებ, — ასრულებს კოსტენიუკი.

ალექსანდრა კოსტენიუკი არის 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი, 2004 წლის ევროპის და 2005 წლის რუსეთის ჩემპიონატების გამარჯვებული. ჭადრაკის სამყაროში მისი უმაღლესი რეიტინგია 2540 ქულა. ამჟამად, როგორც უკვე გითხარით, ალექსანდრა კოსტენიუკს მინიჭებული აქვს ჭადრაკის დედოფლის სტატუსი და პარალელურად სამოდელო ჩვენებსაც აწყობს.


გაგრძელება მე-14 გვერდზე


## ასტროპროგნოზი 10 მაისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

ცვლილებების დღეა

**ვერძი** — სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. **სასწორი** — ჯერ აუცილებელი საქმე მოიშორეთ და გართობაზე მერე იფიქრეთ. **ღრიანკალი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** — თავს მიხედეთ, არც იმიჯის შეცვლა გაწყენთ. **თხის რქა** — მოთოკეთ ემოცია, დღეს ჩრდილში ყოფნა გერჩივნოთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყანთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# ყურადღება!

## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა 100 წიგნის პირველი ტომის, განდის, შეძენა!

"ახალი თაობის" 9 მაისის ნომრიდან ისევ გაიყიდება განდის ავტობიოგრაფია, იგივე ფასად:

გაზეთი + წიგნი = 8 ლარი





## იუმორი



***

— სულელების რაოდენობა იზრდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ხარისხი ეცემა...

***

— გაწონასწორებული დიეტა — როდესაც ორივე ხელში ზუსტად ერთი და იგივე წონის ტორტის ნაჭერი გიჭირავთ...

***

ცოლი ცდილობს აუხსნას ქმარს, თუ როგორ მოხდა, რომ უცნობ ახალგაზრდასთან უღალატა.

— კარზე დარეკა, ისეთი გამხდარი, ჭუჭყიანი, ჩამოძონძილი იყო... შემოვუშვი, აბაზანაში დაბანის ნება დავრთე, დავაპურე, შენი ძველი პერანგი და კოსტიუმი მივეცი და ამ დროს მკითხა, „ქალბატონო, ხომ არ გაქვთ კიდევ რამე ისეთი, რითაც თქვენი ქმარი აღარ სარგებლობს?“

***

— რატომ ხარ ასე ჩაფიქრებული?

— დღეს, დილით ჩემი ქმარი სამსახურში რომ წავიდა, მეზობელმა დარეკა კარზე, მეკითხება, ალექსი შინაა, ვუთხარი, რომ სამსახურშია წასული. ეს რომ გაიგო, მეცა, ტახტზე გადამაწვინა და სანამ ქანცი არ გაგვძვრა, მაუპატიურა და მაუპატიურა.

— მერე, რა არის მანდ საფიქრალი?

— მაინტერესებს, მაინც რაში სჭირდებოდა ჩემი ქმარი...

გ. თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სანთლიდან ჩამომდნარი წვეთი; 2. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 3. ყველაზე დიდი ნავთობის საბადო ყაზახეთში; 3. ვულკანი იტალიაში; 6. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 8. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 11. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 12. ქართველი მეფე საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი; 16. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 17. ნავსადგური ყირიმში; 18. მაჯისცემა ანუ...

**თარაზულად:** 1. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 5. ფინეთის პარლამენტი; 7. ოდესის ძველი სახელწოდება; 9. კენიის დედაქალაქი; 10. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებში; 13. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 19. კუთხე საქართველოში; 20. სპორტის სათამაშო სახეობა; 21. XI საუკუნის მონასტერი კასპის რაიონში; 22. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი საფრანგეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

